

# თვეური

ყოველკვირეული გაზეთი

უახრ წლის დამლევაშის 3 მან.; სუთი თვით 2 მან. | 1877—1906 | ადრესი: ტფილისი, ტრეილინის ქ., №5, ტელეფ. № 922.

**სა-ჩიხი.** — ტფილისის ქართული გიმნაზია, ფ. გოგინაშვილი-სა. — წერილი ბ-ნის ფ. გოგინაშვილის მიმართ, დ. კარეკაშვილი-სა. — პატარა ფიქრები, ლისა. — წარსულის მოგონებანი (გაგრძელება), არტურ ლეიტისა. — საქართველოს ეკონომიური ისტორია (გაგრძელება), ივ. ჯავახიშვილისა — მ. ნორდაუ და სოციალური ხატიონი, ა. ს. — შვილისა. — ავტონომია, (ლანარევესისა) თარგმანი ს-ისა.

### ტფილისის ქართული გიმნაზია

ჩვენმა წინანდელმა წერილმა შესახებ ტფილისის ქართულ გიმნაზიისა სამი ახალი წერილი გამოიწვია ჩვენს საწინააღმდეგოდ ამ უკანასკნელ კვირის განმავლობაში. ამათში ერთი ეკუთვნის ბ-ნ დავით კარიკაშვილს და იბეჭდება „ივერიის“ ამავ ენოში; მეორე ეკუთვნის ბ-ნ W-ს, — სათავად-აზნაურს სკოლის საპედაგოგო საქმეების ცნობილ „სპეციალისტს“ გაზ. „შრომაში“, ხოლო მესამე გახლავთ — ასე ვთქვათ — ნაწარმოები ბ-ნ მ. ნ. — ძისა, რომელსაც, როგორც ჩანს, ამ ბოლო დროს გაზ. „Обновление“ — ში მოუკალათებია. ვისაც წაკითხული აქვს ეს უკანასკნელი „ნაწარმოები“, ადვილად დაგვეთანხმება, რომ მისი წინაარსის შესახებ ჩვენს მხრივ ერთის სიტყვის დაძვარაც კი ჩვენთვის ღირსების დამკრებია იქნებოდა, და ჩვენც, რა თქმა უნდა, ბ-ნ მ. ნ. — ძეს იმ პატივს არ ვაღიარებთ, რომ მის წრიბის ყურადღება მივაქციოთ და კამათის ღირსი ვახდლოთ. ღვთის მადლით, ჯერ კიდევ ისე არ დაწვრილმანებულვართ, გემოვნებაც ისე არ გავმდარებია და ჩვენი მკითხველი საზოგადოებაც ისე გონებრივ წინაარსს მოკლებულად არ გვყავს წარმოდგენილი, რომ ხაჩატუროვის იდეურ ლიქების საქმიანობა და ნ-ძების — უკაცრული პასუხია — „მწერლობა“ საყურადღებოდ მივაჩინდეს ან ჩვენთვის, ან ჩვენის მკითხველებისათვის. და თუ ჩვენ აქ ბ-ნ მ. ნ. — ძის რუსული ნამოქმედარიც „წერილების“ რიცხვში ჩავთვალეთ, — მხოლოდ იმიტომ, რომ მკითხველისთვის შემდეგ საგულისხმო გარემოებაზე მოგვეთითებია. გაზეთი „Обновление“ იმავე ჯგუფს ეკუთვნის, რომელსაც ეკუთვნოდა წინადა გაზ. „ვოზროუდენიე“. მართალია, ამ უკანასკნელის იდეური ხელმძღვანელი პრინციპებსა და გარკვეულ მიმართულებაზე თავიდანვე ცოტათი მწერალად ბრძანდებოდა, მაგრამ ჩვენ მაიც არ გვეგონა, რომ იმისი საქმე ნ-ძების მიმართულებით და ის კაცი, რომელიც ხაჩატუროვის გაზეთში სომხებს „იფარავდა“ „კაცის-ქამისა“ საქართველოს ავტონომიისა და ავტონომისტებისაგან, დღეს იმავე ავტონომიის მომხრე ჯგუფის გაზეთში „გობნოვლების“ („განახლების“) შემტანი გახდებოდა. მაგრამ ქვეყნად რა არ მოხდება, და ჩვენც საგნებზე დაგვილოცნია მათთვის ასეთი „გობნოვლენიე“!\*) თუ ნ-ძი

სთანა „განახლებელნი“ ბლოკად შემოიკრებენ, — ექვი არაა, ჩვენს ცხოვრებაში დიდ განახლებას შეიტანენ...

მაშ ვაჩუქოთ საგნებით და უკამათოდ ბ-ნი ნ-ძი „გობნოვლების“ რედაქციას და ჩვენ დავებრუნდეთ ისევ ტფილისის ქართულ გიმნაზიის საქმეებს.

ბ-ნი დავით კარიკაშვილი და ჩვენი ნაცობი W ამართლებენ სკოლის მასწავლებელთა კორპორაციას, რომ მას შარშანდამდის სკოლის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე კრინტი — ხმა არ დაუძრავს, მხოლოდ გამამართლებელ საბუთად სხვა და სხვა გარემოება მოჰყავთ. ბ-ნი W იმით ამართლებს პედაგოგებს, რომ ბ-ნი ნ. ცხვედაძე სკოლიდან გარეცხდა და უადგილოდ დასტოვებდა მასწავლებლებს, იმათ რომ ხმა ამოეღოთ და იდეური ოპოზიციის გაეწიათო. უნდა გამოვტყუდეთ, — თუნდა რომ კიდევ დავიჯეროთ დაუჯერებელი და წარმოვიდგინოთ ბ-ნ ცხვედაძის ასეთი „თვითმპყრობლობა“, მაინც გაუგებარია, თუ როგორ შესძლებდა ერთად-ერთი ბ-ნი ცხვედაძე, რომელიც კომიტეტის 7 წევრში მხოლოდ ერთის ხმის პატრონი იყო, მასწავლებლების უსასართლოდ დასჯას და სკოლიდან განდევნას. მაგრამ დავიჯეროთ ერთ წუთს ამ „საბუთის“ სიმართლე და წარმოვიდგინოთ, რომ მასწავლებლებს დაბოვნის შიში აჩერებდათ. განა ეს ზნეობრივად გამამართლებელი საბუთია, და მერე ისეთ „პრინციპიალურ“ ხალხისთვის, როგორც სათავად-აზნაურო სკოლის პედაგოგთა კორპორაცია გამოდგამ? იმათ ხომ შარშან განუცხადეს საზოგადო კრებას: თუ ჩვენს რეორგანიზაციის პროექტს უარყოფთ და არ მიიღებთ, ჩვენ სასწავლებელს თავს ვანებებთო? წარმოვიდგინოთ, რომ საზოგადო კრებას მართლა უარი ეთქვა მათს პროექტზე, — მაშინ ხომ ისინი მართლა უნდა წასულიყვნენ? თუ მათი განცხადება ცარიელი მუქარა არ იყო, — უეჭველად წავიდოდნენ. და ერთი მიბრძანეთ: თუ შარშან მასწავლებლებს არ ეშინოდათ უადგილოდ დარჩენისა, ამის შიშში ისინი ვერ გააჩუქა და „რეორგანიზაციის“ მოთხოვნაში ხელი ვერ შეუშალა, — შარშანდამდის რაღად უნდა შეეშალა ხელი და ძალად რად უნდა გაეჭუმეებია? ბ-ნი W ს მიერ დასახლებული „საბუთი“ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ჩავთვალოთ მასწავლებელთა წინანდელ სიჩუმის მიზეზად, — და არა ზნეობრივად გამამართლებელ სა-

და, რახან „ივერიის“ გამომცემლის ხარჯებზე ლაპარაკის დაწყება მოუსურებია, თან გამომცემლისა გაზ. „ვოზროუდენის“ ანგარიშებიც. მაშინ ჩვენ ამ საკითხზეაც ციფრებით დასაბუთებულ „მომხსენებას“ მივართვეთ და ში: ცნობისმოყვარეობას საგნებით დავაკმაყოფილებთ...

P. S. ეს წერილი უკვე აწკობილი იყო, როცა ედემოვეკეს, რომ ბ-ნ-ძის თხოვნა შეუტანია და მასწავლებლობა უთხოვნია ტფილისის ქართულ გიმნაზიაში. აი, რის მუცლის გერემა აქვს ამ ვაქატანს და რა ათხვევინებს მას „საქრთაშო“ „ნაწარმოებს“. მაგრამ ჩვენ გვეგონა, ხსენებულს გიმნაზიაში „ქრთამებს“ არ იღებენ, და რომ ეს ასეა, ამას, ალბად, თვით მ. ნ-ძიც მალე გაიგებს...

\*) მხოლოდ ერთი რჩევა კი უნდა მივცეთ ამ გაზეთის დაქტურ გამგეს ბ-ნ პ. გოთუას: წინ ნუ იმძვარებენ ნ-ძებს, რომელთაც ჩვენ თავის დღეში პასუხს არ ვაღიარებთ, — თვითონ გამოჩნდეს სინათლეში

ბუთად, თუ ვსცნობთ, რომ პედაგოგების შარშანდელი განცხადება სკოლიდან წასვლის შესახებ უბრალო მუქარა იყო და მეტი არაფერი.

ბ-ნი დ. კარიკაშვილი კი მასწავლებლთა გასამართლებლად სულ სხვა საბუთს ასახელებს და ამგვარად გვეუბნება, რომ ბ-ნი W ს მოსაზრება მასწავლებელთა წინანდელ სიჩუმის შესახებ მართალს საუბრეზე არაა დამყარებული. სიჩუმის მიზეზად იგი ასახელებს საერთო პოლიტიკურ მდგომარეობას და ქართველ თავად-აზნაურობის ერთი ნაწილის მტრობას სათავად-აზნაურო სკოლის მიმართ. „რუსეთის იმპერიის პოლიტიკური მდგომარეობა და კერძოდ ჩვენის ქვეყნისა სწერს იგი—1905 წლამდე ისეთი სულს შემზურველი იყო, რომ არათუ არ შეგველო სკოლის რეორგანიზაციაზე ლაპარაკი, არამედ ხმა-გაკმენდილები ვცახკახებდით: ვაი თუ ისიც დაგვიხურონ, რაც ბედნიერას შემთხვევით ერთხელ ძლივს იშოვა ქართველობამო... მეორე მხრით... ჩვენის სასწავლებლის ბედი ბევრზე ეკადა დიდებულს თავად-აზნაურობის წყალობით. რომელნიც მუქამ იმას გაიძახოდნენ: რად გვინდა კერძო სასწავლებელი, ავიღოთ და გადავცეთ მთავრობასი“.

ეს მოსაზრება ბ-ნი დ. კარიკაშვილისა, შეიძლება, ვინმეს უცილობელ საბუთად ეჩვენოს, რადგან იგი ისეთ სიმებს სცემს, რომლებიც ფრიალ ჰკრძობიარეა. სამწუხაროდ ჩვენ არ შეგვიძლია (ავეთანხმოთ ამ განარტებაში ბ-ნი კარიკაშვილს, და აი რადა: იმ რეორგანიზაციის პროექტში, რომელიც ჩვენმა მასწავლებლებმა შარშან დაბეჭდეს „ივერიაში“ (№ 89), თითქმის არაფერია ისეთი „რეგულაციონური“, რის თქმაც ვითომ შარშანდლამდის შეუძლებელი ყოფილიყო ჩვენს სკოლასა ან საზოგადოებაში. ნიმუშები გენბავთ? მოგახსენებთ: პროექტში, მაგალითად, ნათქვამია, რომ სათავად აზნაურო სკოლაში 1) „მოსწავლეები პირველ განყოფილებიდანვე უნდა შეეჩვიონ კლასს გარეშე წიგნების გონივრულად კითხვას თვით მასწავლებლების ხელმძღვანელობით“; 2) „საბუნებისმეტყველო საგნების პროგრამა უნდა გაფართოვდეს და ამ საგნების სწავლება საფუძვლიან ნადავზე უნდა დამყარდეს გი ნაზიურ ყოველ კლასში“; 3) „რაციონალურად უნდა მოეწყოს გერმანული და ფრანგულ ენების სწავლება, ასე რომ მოსწავლე, ჩვენის სკოლის დამთავრების შემდეგ, შეგნებით უნდა კარგად იცნობდეს ფრანგულსა და გერმანულ წიგნებს და გაუჭირებლად ლაპარაკობდეს ამ ენებზე“; 4) „აუცილებლად საქირა, სკოლის ხელმძღვანელნი დროგამოწვევით სწერდნენ რეფერატებს ამა თუ იმ პედაგოგიურ კითხვების შესახებ და მსჯელობდნენ პედაგოგიურ საბჭოს კრებებზე ქვეშარტ პედაგოგიურ ზომების შესამუშავებლად“; 5) „პედაგოგიურ საბჭოს კრებებზე საგულისხმეო საკითხების შესახებ აზრთა გაზიარება, ამა თუ იმ პედაგოგიურ ცდისა და დაკვირვების მოხსენება და განსჯა ყველა საგნების სწავლებაში დიდს პარონას შეიტანს, კერძო საგნების სწავლებაში დაამკვიდრებს მკიდრო კავშირს, ერთსულობასა და ერთგულობას“; 6) „საქირა, რომ მასწავლებლები დროგამოწვევით ესწრებოდნენ ამანაგების სამაგალითო გაკვეთილებს და პრაქტიკულად ეცნობოდნენ სწავლების სისტემას და მეთოდებს. სამაგალითო გაკვეთილების საერთო ძალით განსჯა და განხილვა მეტად ხელს შეუწყობს, მასწავლებელმა რომ ქვეშარტი აზრი შეადგინოს ამა თუ იმ საგნის სწავლების შესახებ“; 7) „ქალბმა, დიდი ხანია, დაამტკიცეს თავიანთი ნიჭი და უნარი პედაგოგიურ ასპარეზზე და ამიტომ საქირა, რომ ტფილისის სათავად აზნაურო სკო-

ლაში ქალბსაც იგივე უფლება ჰქონდეთ მასწავლებლობისა, როგორც მამაკაცებს აქვთ“; 8) „განახლებულს სკოლაში მასწავლებლისა და აღმზრდელის თანადგობას უნდა ასრულებდეს ერთი და იგივე პირი, რომ ეს ორი განუყრელი თანადგობა შეეუბნებოდნენ იქმნას სკოლის საკეთილდღეოდ“; 9) „სკოლის საქველმოქმედო ნაწილის გამგეობა კომიტეტსა და მოსწავლეების მშობლების მიერ არჩეულ წრეს უნდა გადაეცეს საწარმოებლად“; 10) „პედაგოგიური საბჭო სკოლის შინაურ მართვა-გამგეობაში დამოუკიდებელ ორგანოდ უნდა იქმნას აღიარებული, გამგე კომიტეტს უფლება არ უნდა ჰქონდეს სკოლის შინაურ ცხოვრებაში გარეგისა“; 11) „სწავლის საქმე რომ რიგიანად წაივდეს, საქირა თითო-ულის კლასში მოსწავლეთა რაოდენობა ოცდახუთს არ აღემატებოდეს“; 12) „პედაგოგიურ საბჭოს საქირა და სადღეისოდ მიანია, სათავად-აზნაურო სკოლაში სწავლის ფულის გადახდა სრულიად გაუქმდეს“; 13) „პედაგოგიურ საბჭოს პანსიონის არსებობა სათავად-აზნაურო სკოლასთან პედაგოგიურს მოსაზრებით მანებლად მიანია და ამის გამო კიდევაც უნდა მოისპოს“; 14) „საბჭოს აზრით საქირა, მასწავლებელი კერაში აძლევდეს არა უმეტეს 18 გაკვეთილისა“; 15) „მასწავლებელს თითო-ულის წლიურ გაკვეთილში ჯამაგირად 150 მან. (ანუ სულ 2700 მან.) უნდა მიეცეს“ და სხვა და სხვა.

აქ აღნიშნული სტრიქონები სიტყვა სიტყვით ამოწერილია სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებელთა პროექტიდან. ახლა თქვენ გკითხავთ, მიიხვედლო: რა არის აქ „რეგულაციონური“ ან რომელია ისეთის ხასიათის მოთხოვნები, რომლისთვისაც წინად მთავრობას შეეძლო ხელი ჩაეჭადა და სასწავლებელი დაეხურა? რა მთავრობაც გვეყავდა და ან გვეყავს,—ეს ყველამ ვიცით, მაგრამ მაინც პლევებს რეჟიმის დროსაც ბიუროკრატია კრინტს არ სძრავდა იმის გამო, რომ კერძო სასწავლებელში მოსწავლეები, მასწავლებელთა ხელმძღვანელობით, სასარგებლო წიგნების გონივრულად კითხვას შესჩვეოდნენ, „საბუნებისმეტყველო საგნების სწავლება კარგად ყოფილიყო დაყენებული“, „ფრანგული და გერმანული ენებ კარგად ესწავლებიან სკოლაში“, მასწავლებლებს „პედაგოგიურ საკითხებზე რეფერატები ეწერათ“, პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე საგულისხმო პედაგოგიურ საკითხების შესახებ „აზრთა გაზიარება“ ყოფილიყო, მასწავლებელს ჯამაგირად 2700 და თუნდ 5000 მანათი ჰქონებოდა და სხვ ყველაფრის „პოლიტიკურ რეჟიმისთვის“ გადაბრალემა ძნელი საქმე არაა, მაგრამ ამ შემთხვევაში მაინც ძნელია, რომ საერთო „პოლიტიკურა მდგომარეობა“ ან თავად-აზნაურობის ერთი ნაწილის „ქვეშევრდომითი მიმარტულება“ დაეხანოთ გამამართლებელ გარემოებად. ცხრა მეთედი ნაწილი პედაგოგთა შარშანდელ პროექტისა ისეთის ხასიათისაა, რომ მასზე მსჯელობის გამართვა და ლაპარაკი არა თუ შარშან,—შარშანდლამდინაც თავისუფლად შეიძლებოდა.

მაგრამ დავიჯეროთ ერთ წუთს, რომ მასწავლებლებს წინად, საერთო პოლიტიკურ მდგომარეობის გამო, სკოლის დაკეტვის შიში აჩერებდა, საზოგადოების საჯარო კრებებზე მათ პირში წყალს უყენებდა და სასწავლებლის მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ ლაპარაკს უშლიდა. დავიჯეროთ ეს და ვიკითხოთ: „ფრთხილად“ მაინც სცადეს მათ ოდესმე სკოლის „განახლებისთვის“ რაიმე ზომა მიეღოთ და რომელიმე ისეთი ღონისძიება მაინც განეხორციელებიათ, რომელიც მათს „შინაურს“ ენერგისა და ჩინიკიტაცზე იყო დამოკიდებული? ერთი მიბრძანეთ: რომელი „დიდებული თავად აზნაურობა“,

ან კომიტეტი ან „საერთო პოლიტიკური რევიმი“ უშლიდა მათ, რომ სკოლაში, მაგალითად, „რაციონალურად მოეწყობოთ გერმანულისა და ფრანგულ ენების სწავლება“ და მოსწავლესთვის ისე ესწავლებიათ ეს ენები, რომ მას „ჩვენის სკოლის დამთავრების შემდეგ შეგნებულად შეეძლოს“ ამ ენებზე ლაპარაკი და წიგნების კითხვა? განა თვითონვე არ ბრძანდებოდნენ მასწავლებლებად, მათ ხელში არ იყო ენების კარგად თუ ცუდად სწავლების საქმე? ან როგორი კომიტეტი გინდ „თავად აზნაურობა“ და უშლიდა ჩვენს პედაგოგებს, რომ მათ „პედაგოგიურ საკითხებზე რეფერატები ეწერათ და აზრთა გაზიარება“ მოეხდინათ? ემ, ბატონო დავით, ნურც ისე გავასუფლებოთ, რომ ასეთი რამ დაგვაჯეროთ: ვითომ ჩვენს პედაგოგებს ძალიან სურდათ „რეფერატების“ წერა, მაგრამ „გარეშე მიზეზები“ ხელს უშლიდათ! ბრძნულ ანდაზისა არ იყოს, — გული გულობდეს, თორემ ქადა ორივე ხელით იქმევიაო, — ჩვენი პედაგოგების პროექტის თვალსაზიარებელი ისეთი წინააღმდეგობა რომ თვითონ მასწავლებლებს თავისუფლად შეეძლოთ თავიანთ საკუთარს რეცეპტივით მისი შესრულება, თუ მართლა „გული გულობდა“. შარშან ყურები გამოგვიქედეს: სასწავლებელში ქართულ ენას ცუდად ვასწავლითო, პროგრამაც არ გვაქვს: შემოუშვებელიო. თქვე დალოცვილებო, თუ ამ ნაკლს გრძნობდით, — „შეგეუშვებიათ“ და „კარგად გესწავლებათ“! ვინ იყო თქვენს გაცვივილებზე ამგვარ მუყაითობის დამშლელი?

და თუ, მკითხველო, არაფერი ამის მსგავსი არ ხდებოდა ქართულს გიმნაზიაში, ვის უნდა დავდოთ ბრალი? გვაქვს თუ არა უფლება, ვთქვათ, რომ აქ „ზნეობრივი შემეცნება ძალიან კოკლოზა“? ჩვენ გვგონია, რომ ამისი სრული უფლება გვაქვს და ამიტომ ვთქვით კიდევ, რომ მასწავლებლების ამდენი ხნის სიჩუმე, თუ ისინი მართლა ხედავდნენ და გრძნობდნენ სკოლის ნაკლს, ცუდი ნიშანია მათი ზნეობრივი შემეცნების დასახასიათებლად. რა ვქნათ, — ჩვენმა ცხოვრებამ გავაყვებოდა, ექვიანი გავგება და ნუ დაგვძრახავთ, თუ ქარიელ სიტყვებს საქმედ ვერ მივიჩნევთ და ფრანგებს საქმიანობად ვერ დავსახავთ, ჩვენ ქართველებს, საზოგადოდ ძალიან ვეყვივარს ჩვენი შეცდომები ყველა სხვა გადავბარალოთ ხოლმე და ჩვენი თავი პასუხისმგებლობისაგან გავინთავისუფლოთ. ეს ჩვენი საზოგადო თვისებაა, და უნდა ვიფიქროთ, მისგან „გაწმენდილი“ არ არიან ჩვენი პედაგოგებიც. მაგალითი გნებავთ? ვიტყვით, თუნცა დარწმუნებული კი ვართ, რომ ამით ვინმეს ვაწყენებთ. თქვენ ზემოდ წიკითხეთ მასწავლებელთა პროექტიდან ამოწერილი სტრიქონები, სადაც ჩვენი პედაგოგები აშბობენ, რომ ახალ ენების სწავლება სკოლაში რაციონალურად უნდა მოეწყოს და მოსწავლეებმა ისე უნდა შეითვისონ ფრანგულ გერმანული ენები, რომ სასწავლებლის გათავების შემდეგ თავისუფლად შეეძლოთ ამ ენებზე კითხვა და ლაპარაკიო. კეთილი და პატროსანი! ცხადია, ვინც ასეთ სიკეთეს ცდილობს მოსწავლეებისთვის, ის ვერ იტყვის, რომ ასეთ მიზანს შეასრულებს ისეთი მასწავლებელი, რომელსაც უცხო ენაზე თავისუფლად არც წერა და არც კითხვა არ შეუძლია ჩვენ. თუმცა „პედაგოგი“ არა ვართ, მაგრამ გვგონია რომ თვითონ მასწავლებელი, გარდა იმისა რომ კარგი პედაგოგი უნდა იყოს, თავისუფლად უნდა კითხულობდეს და სწერდეს იმ უცხო ენაზე, რომლის სწავლებასაც მას ვაძლავთ, თუ გვინდა, რომ მისმა მოწაფეებმა, სკოლის გათავების დროს, ამ ენაზე „თავისუფლად“ კითხვა და წერა შესძლონ.“ და იცით, მკითხველო, ასეთ „სურვილის“ გამოცხადების შემდეგ ჩვენმა

პედაგოგებმა როგორც მასწავლებლებს მიანდევს ერთ-ერთ უცხო ენის სწავლება? სწორედ ისეთს, რომელსაც, როგორც გამოგვცემენ, ამ ენაზე „თავისუფლად“ არც კითხვა და არც წერა არ შეუძლია! მოდით და ამის შემდეგ დაიჯერეთ ჩვენებური „ლაპარაკი“ სიტყვები და „დაპირებანი“!

დიად, საერთო „პოლიტიკური პირობები“ ზევრამეში ხელს არ უშლიდა ჩვენს პედაგოგებს, მაგრამ ისინი ყურბეჩამ-ყრილი ბრძანდებოდნენ, სკოლაში თურმე ჩინოფინიკურად შედიოდნენ და გამოდიოდნენ, ისეთ საქმეებსაც არ აკეთებდნენ, რომელიც თურმე ძალიან საჭირო იყო (ასეა „პროექტი“ აღნიშნული) და რომლის გაკეთებასაც, ამასთანავე, არავინ არ უშლიდა. და, აი, როცა ხალხმა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ იერიში მიიტანა, ჩვენს პედაგოგებსაც აღეძრათ სუვილი „განახლების“ და სკოლის „რეორგანიზაციისთვის“ დაფიცურდნენ. რუსები იტყვიან: უმჯობესია გვიან იყოს, ვიდრე სულ არასოდესო, და ეს თქმულება სრული ქეშპირიტეზაა, მაგრამ ეს კიდევ არ ანთავისუფლებს ჩვენს ახალთაობის განაწილებლებს წინანდელ უმოქმედობისთვის პასუხისმგებლობისაგან. იმ ხალხს, რომელიც მოსწავლე ახალგაზდობის განათლების ზედ იღბალს განაგებს, არ უნდა ესპირობოდეს ქუჩის მიტინგები იმის შესახებ, რომ მის დაწესებულებაში სხვა და სხვა ნაკლი და მოუწყობლობაა: ბანი და კარიკა-შვილი კი გვარწმუნებს: „განმთავისუფლებელ მოძრაობის გავლენა პედაგოგიურს კორპორაციაზე სიმწუხარო ნიშნად კი არა, — სასიხარულოდ უნდა იქმნას მიჩნეული, როგორც მასწავლებელთა სიფხიზლის გამომხატველიო“. კარგი სიფხიზლეა სწორედ! თვით მასწავლებელთა სიტყვით, მაგალითად, „რეფერატების წერა“ და პედაგოგიურ საკითხებზე „აზრთა გაზიარება“ საჭირო ყოფილა, მაგრამ ამას ისინი მთელი 25 წლის განმავლობაში არასდროს არ ასრულებდნენ და თან კი გვარწმუნებენ: ფხიზელი ხალხი ვართო! თუ ეს სიფხიზლეა, ნეტა ძილს რაღა უნდა ვუწოდოთ? სხვებისა არ ვიცი და ჩვენ კი ამისთვის სხვა სახელი ვერ გამოგვიანახავს. და ამიტომ იყო, რომ ეს გარემოება ჩვენ მასწავლებელთა მცონარობისა და, მაშასადამე, მათი „ზნეობრივ შემეცნების“ სიკოკლის ნიშნად მივიჩნიეთ. მასწავლებლები კი გვეუბნებიან, — არა, ეს მართლა არაა, ჩვენ სპეტაკი ვართო. „ფიცო“ გვწამს, მაგრამ ეს „ბოლო“... „ბოლო“ ძალიან გვეუქვიანებს...

გვეუქვიანებს მით უფრო, რომ ჩვენმა პედაგოგებმა არა თუ წარსულში, — ახალს ცხოვრების ხანაშიაც მოგვცეს ისეთი მაგალითი, რომელიც დასაგომბი და უარსაყოფელია. შარშან, მაგალითად, საზოგადო კრებას განწეორებით უცხადებდნენ: თუ ჩვენს მოთხოვნილებას არ დააკმაყოფილებთ, — სასწავლებლიდან მივიდვართ, სკოლას თავს ვანებებთო. ეს განცხადება ჩვენ მიგვაჩნია გავაცვის მუქარად, — როგორც ეს გავარკვიეთ ერთ წინანდელ წერილში, — და ასეთ საშუალების ხმარება კი, ჩვენის აზრით, არაა საკადრისი ისეთ საგნის გარკვევის დროს, როგორც არის სკოლის სასწავლო რეორგანიზაცია, რომელსაც პრინციპილურ საკითხის ხასიათი და მნიშვნელობა აქვს. პედაგოგების „პროექტი“ შრომის შემკირება (დღეში სამი გაცვივილი) და ჯამაგირების გადიდება (წელიწადში 2700 მან.). თავის ფინანსურ ნიშნელობით, ერთი უმთავრესი მუხლო გახლავთ და, მაშასადამე, „წასვლის“ მუქარა ამ მოთხოვნის ასრულებასაც შეეხებოდა. ნურას უკაცრავად და — ჩვენს პედაგოგებს თავიანთ „პროექტი“ არ მოუციათ საზოგადოებისთვის იმის საბუთი, რომ მათ „პური არსებობისა“ ყურადღების ღირსად არ მიაჩნიათ... ჯერ ერთი, იმათ მოი.

თხოვეს დღეში სამი გაკვეთილი და 2700 მან.; მეორე, - სამსახურის ნორმად გამოაცხადეს 15 წელიწადი, რომლის შემდეგ მასწავლებელს პენსია უნდა ეძლეოდეს. და იცით, ეს რას ნიშნავს? თუ ვიგულისხმებთ, რომ უმაღლეს სწავლის ასრულებს 25 წლის ახალგაზდა და, მაშასადამე, მას შეეძლება ტფილისის ქართულ გიმნაზიაში მასწავლებლად შესვლა, იგი, 40 წლისა, უკვე გაათავებს სამსახურს და მიიღებს პენსიას. 40 წლის კაცი კი, ასე ვაქვით, შუა ხნის კაცი, - ჯანდონით სავსე და მას კიდევ შეუძლია მუშაობა. მაშასადამე, სკოლიდან გასვლის შემდეგ მას შეუძლება სხვა საქმეც იშოვოს და პენსიას სხვა წყაროც მიუმატოს. როგორც ხედავთ, პედაგოგების პროექტში „პური არსებობისა“ არ ირის მინცა და მინც დავიწყებული... ბ-ნი კარიკაშვილი კი გვეუბნება: ჩვენ ჯამაგირის საკითხი სრულებით არ გვქონდა ფიქრში, როცა საზოგადოებას სკოლიდან წასვლას ვემუქრებოდითო. ჩვენ არ ვიცით, გულში მათ რა ჰქონდათ და ამის გამოკვლევას ვერ გამოვუდგებით და არც გამოვუდგებით. ჩვენი მოვალეობაა ფაქტის განმარტება ობიექტიურად, როგორცაა მასში ესა თუ ის ტენდენცია ჩანს. და ტენდენცია კი პედაგოგთა აღნიშნულ „განცხადებისა“ ისეთია, რომ მასში მკაფიოდ გამოიხატება გაფიცვის მუქარა.

კიდევ შეიძლება, ეს არ გავფიქრა, რომ მასწავლებელთა პროექტში წითელის ხაზით აქ იყოს გაკვლეული შრომის შემცირებისა და ჯამაგირების გადიდების მოთხოვნა. ეს ისე ცხადად და ნათლად გამოხატული, რომ ამის შესახებ რაიმე ეჭვი და ორნაირი აზრი თითქმის შეუძლებელი უნდა იყოს. მაგრამ ჩვენში ყველაფერი საკამათოდ გახდება ხოლმე ბ-ნი დ. კარიკაშვილი და W აქაც არ გვეთანხმებიან და გვიმტკიცებენ, რომ ახლის ცვლილებით მასწავლებელს შრომა არ უმცირდება. არ უმცირდება იმიტომ, რომ მასწავლებლები თურმე დილას ადრე უნდა მოვიდნენ სასწავლებელში, როცა მოსწავლენი იწყებენ მოსვლას, უნდა დადგენ ყველა კარიდორებში, ეზოში, გასასვლელ კარებში და ძვალ-ყური დაიჭირონ მოსწავლეებზე. თურმე მთელი კორპორაცია მასწავლებელთა (24 თუ მეტი კაცი) საქიროა ადრინადად სასწავლებელში, რომ მომსვლელ მოსწავლეებს თვალყური ადევნონ; ასევე 24 კაცი აუცილებელია თურმე გაკვეთილებსა და გაკვეთილებს შუა დასვენების დროს თვალ-ყურის დასაქერად მოსწავლეებზე; გაკვეთილების დროს (სწავლა გრძელდება 6 საათს, ხოლო თითო მასწავლებელს სასკოლო მეკადინეობა აქვს 3 საათი) 12-15 მასწავლებელი მინც მუდამ უნდა იდგეს თურმე კარიდორებში, რომ კლასებიდან გამომსვლელ მოსწავლეებს უყურონ. ასეთის „პედაგოგიურის“ მოსაზრებით გვიმტკიცებენ, რომ მასწავლებლებს შრომა არ შემცირებიან მოდიო და ნუ დაიჯერებთ!

ბ-ნი კარიკაშვილის სატყვიო ძველსა და ახალს წყობილებას შორის განსხვავება მხოლოდ ის არის თურმე რომ ახლა მასწავლებლის შრომა არის „შედავითიანი“, ვინაიდან, ყოველდღე ხუთისა და ოთხის გაკვეთილის ძლევა მასწავლებელს მეტად ღლის, ჯამრთელობას ურყევს და ბოლოს შრომის უნარსაც ართმევს; იშვიათის ენერჯისა და ჯანის პატრონი უნდა იყოს მასწავლებელი, რომ ყოველდღიურად სენდისიერად აძლიოს 4-5 გაკვეთილი... ჩვენც ვიცით, რომ 4 და 5 გაკვეთილის ძლევა ყოველდღიურად უფრო ძნელია, ვიდრე 3 გაკვეთილის მიცემა და სწორედ ამიტომ ვამბობთ, რომ მასწავლებლებს შრომა შემცირებული აქვსო. ბ-ნი კარიკაშვილი ხაზს იმას უსვამს, თუ რა უნდა

აქოს, - რა არის პედაგოგიურ იდეალის მხრივ სასურველი. მაგრამ თუ იდეალზე მიდგება საქმე, ჩვენც ბევრ რამეს გამოვძებნით. ვიტყვით, მაგალითად, რომ მასწავლებელს უნდა ჰქონდეს დღეში მხოლოდ ერთი გაკვეთილი, იგი უნდა იყოს სრულის მეცნიერულ კოდნით აღჭურვილი, მუდამ დღე თვალყურს უნდა ადევნებდეს მეცნიერებს განვითარებას. ეკრპოს უნივერსიტეტში გამოჩენილი პროფესორები დღეში მხოლოდ ერთ ლექციას მეთქვს არ კითხულობენ, დანაჩენ დროს ანდომებენ მეცნიერულ გამოკვლევას და ამ გამოკვლევის შედეგი შეაქვთ თავიანთ ლექციაში. მაგრამ... მაგარი ის გახლავთ, რომ ამისათვის ჩვენ ჯერ არც განვითარების სახსარი გვაქვს და არც შესაფერი ხალხი გვაქვს. სახსარი საქიროა მუშაკთა უზრუნველსაყოფად, ხოლო „შესაფერი ხალხი“ საქიროა იმისთვის, რომ მან თავისუფალი დრო მართლა მოახმაროს ნაკისრებ საქმის წარმატებას. ჩვენში კი, საუბედუროდ, „თავისუფალ ხშირად დროს“ არავითარი საზოგადოებრივად სასარგებლო ნაყოფი არ მოაქვს და ამის მიზეზი ისაა, რომ სწორედ „შესაფერი ხალხი“ არა გვაქვს. და ასეთ გარემოებაში განყენებულ საპედაგოგიო „ქეშმარიტებაზე“ ლაპარაკი და სამოქმედო პროგრამაში ისეთ საიდეალო „მოთხოვნის“ შემოტანა, რომელიც უფრო დიდს ნივთიერ და ზნეობრივ-გონებრივ ავლადილების ხალხს შეეფერება, იმ ადამიანს დაგვიმსგავსებს, რომელსაც დახეული შარვალი და ჩექმები აცვია და ზემოდან კი ახალ ფრაკს იცვამს. 3 გაკვეთილი ნორმად ევროპის სახელმწიფოებშიაც არაა შემოღებული. ბ-ნი W გამარჯვებულად გვითითებს საფრანგეთზე და გვასწავლის, რომ იქ მასწავლებლებს კვირეში 12-18 გაკვეთილი აქვთ დავალებული. მართალია, საფრანგეთის ლიცეებში მასწავლებლებს განსაზღვრული ჯამაგირი იქვთ დანიშნული და ამ ჯამაგირში მათ ვერ მოსთხოვენ კვირეში 12-16 გაკვეთილზე მეტს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მასწავლებელს იქ ნორმაზე მეტ გაკვეთილის მიცემა არ შეეძლოს, - მხოლოდ მაშინ მას მომატებულ გაკვეთილებისთვის სასყიდელი ემატება. ნახეთ სხვა ქვეყნები: ავსტრიაში გიმნაზიის მასწავლებელს აქვს კვირეში 20-24 გაკვეთილი (ჯამაგირა 100 გულდენი ანუ 800 მან.) დირექტორს 1400 გულდენი ანუ 1120 მან.); პრუსიაში გიმნაზიის დირექტორს აქვს 12-16 გაკვეთილი (ჯამაგირი 6000 მარკა ანუ 3000 მან.), უფროს მასწავლებელს 20-22 გაკვეთილი (ჯამაგირი 4200 მარკა ანუ 2100 მან.), ჩვეულებრივ მასწავლებელს (ordentliche Lehrer) 22-24 გაკვეთილი (ჯამაგირი 3000 მარკა ანუ 1500 მან.) და სხვ. (იხ. ბროკჰაუზი). ამიტომ იყო, ჩვენ რომ ვამბობდით და ახლაც ვიმოვრებთ, რომ ქართველობის ახლანდელს გონებრივსა და ნივთიერს მდგომარეობაში მასწავლებლისთვის ნორმად 3 გაკვეთილის დაწესება ბედოვლათობის მომასწავებელი არის, რომელსაც ვერავითარ კონკრეტული საბუთი და მოსაზრება ვერ გაამართლებს.

გაკვეთილების რიცხვის შემცირების შედეგია ის გარემოება, რომ ქართულ გიმნაზიის ახლის შტატით 19 ათასი მანათი ხარჯი ემატება წლიურად. ბ-ნი W-ს „არიოთმეტიკით“ ხარჯების მომატება შვიდი ათას მანეთით გამოიხატება, მაგრამ ეს შეცდომა იქიდან მომდინარეობს, რომ ჩვენი ავტორი აბსოლუტურ ციფრებს იღებს მხედველობაში. ძველის წესით მთელს გიმნაზიას, რომელშიაც ყველა მოსამზადებელი კლასები იქნებოდა და პანსიონის გულისთვის დანიშნული აღმზრდელიც იქნებოდნენ, მასწავლებელთა ჯამაგირებზე სჭირდებოდა 49826 მან., ხოლო იმავე წესით იმავე გიმნაზიას,

პანსიონისა და ორის მოსამზადებელ განყოფილების გამოკლებით, სკირდებოდა 37905 მან., ახლა კი სკირდება 57600, მ. მაშასადამე ზედმეტი ხარჯია 19695 მან, ამგვარ ანგარიშს ბ-ნი W „ბანზე სიტყვის აგდებას“ ეძახის. ანგარიშის ასეთ „მცოდნე“ კაცს, რასაკვირველია, ვერაფერში ვერ დაარწმუნებთ. ვთქვათ, ახლანდელი სრული გინნაზია პროგინაზიად გადავაკეთეთ, მხოლოდ ოთხი კლასი დავტოვეთ და ამ ოთხ. კლასიან სასწავლებელში მასწავლებელთა ჯამაგი აღ 48,826 მან. დავაწესეთ. ბ.ნი W ანგარიშის ესეთი „მცოდნე“ კაცია, რომ გვეტყვის: ჯამაგირების წინანდელ ნორმასთან შედარებით ახლა ნაკლები ხარჯია, რადგან ახლა ჯამაგირებზე ათასი მანეთით ნაკლები იხარჯება! მეორე მხრით ბ.ნი კარიკაშვილი გვარწმუნებს, ახლა მასწავლებელი ნაკლებ ჯამაგირს იღებს, ვიდრე წინად იღებდა, და ამის საბუთად მოჰყავს ის გარემოება, რომ წინანდელის წესით შტატის მასწავლებელთა მეტი ჯამაგირი ეძლეოდა 5 გაკვეთილში (2700 მან.), მაგრამ საქმე ისაა, რომ წინად ასეთი „შტატიანი“ მასწავლებელი სულ ხუთიოდე კაცი იყო და ისიც 2700 მან. მაშინ ეძლეოდა, როცა კვირაში 30 გაკვეთილს აძლევდა მოსწავლეს. ახლა კი ყველა „შტატიანი“ გახდა და 3 გაკვეთილში 2400 მან. დაენიშნა ჯამაგირად. არ ვიცი, ამას თუ, გაკვეთილების რიცხვთან შედარებით, ჯამაგირის გაღდება არ ჰქვია, მაშ რაღას უნდა ვუწოდოთ გაღდება!

ამგვარად, ჩვენ განვიხილეთ ჩვენი წინანდელი განმარტება ტფილისის ქართულ გიმნაზიის მასწავლებელთა მოქმედებისა და, სამწუხაროდ, უნდა ვთქვათ, რომ იგი დღესაც შეუტყვეველად და სიმართლის გამოხატველად მიგვანჩია. მასწავლებელთა „ბრძოლის“ ნაყოფი ჯერ-ჯერობით შრომის შემცირებასა და სასწავლებლის ხარჯების გაღდებაში გამოიხატა. ხოლო იმის შესახებ კი, რასაც გრძელის „გრეზები“ გვპარდებოდნენ, ჯერაც არა გაკეთებულა რა. მარტო სახელწოდება — „ქართული გიმნაზია“ — რასაკვირველია, არაა საკმარისი, რომ სასწავლებელი მართლა „ქართული“ შეიქმნეს და ეროვნულ სასწავლებლად გადაიქცეს. ამისთვის საჭიროა სახელმძღვანელოები, სხვა და სხვა სასწავლო საგნები სწავლების მთლიანი გეგმა, განსაზღვრული სისტემა და შიგ სასწავლებელში მედგარი და ნაყოფიერი მუშაობა. ყველა ამის განსახორციელებლად არავინ არავითარ სამხადისა და რეალურ საქმეს არ შესდგომია ჯერ ჯერობით. უნდა ვიფიქროთ, რომ ამას ჩვენი პედაგოგები შემდეგში შეასრულებენ და დაგვანახებენ...

დღეს კი ჩვენ — არა-პედაგოგებს — მხოლოდ შემდეგ გარემოებაზე მეგვიძღა მითითება: დღემდის სათავად აზნაურო სკოლა მოსწავლეებს ამხადებდა სახელმწიფო გიმნაზიებიდან სიმწიფის მოწმობის მისაღებად და გარეშე საზოგადოებას სკოლის ნაყოფიერობას იმის კვალობაზე სჯიდა, თუ რამდენი მოწაფე დაასრულებდა კურსს და მიიღებდა გიმნაზიებში მოწმობას. დღის შემდეგ, რაზან სწავლება ქართულ ენაზე უნდა იქმნეს, ეს თვალთ დასანახი და ადვილად შეამჩნევი საზოგადოებაში გარეშე საზოგადოებას აღარ ექნება, ვინაიდან, ცხადია, ქართულ ენაზე მომზადებული მოსწავლეები იშვიათად მოახერხებენ რუსულ გიმნაზიებში რუსულად ეგზამენის დაქერას. ამიტომ ჩვენი გიმნაზიის მასწავლებელთა მართებთ გარაკცელებული მუყაითობა და ენერგიული მუშაობა, რომ „ეროვნული“ გიმნაზია შინაარსითაც ისეთი იქმნეს, მასში სწავლა ისე ნაყოფიერად სწარმოებდეს, რომ საზოგადოებაში მის შესახებ ვერ წარმოსდგეს უქაყოფილება და გულის აკრუება. წინააღმდეგ

შემთხვევაში, ე. ი. თუ სასწავლებელს, მისი უნაყოფობის გამო, მოესპო საზოგადოების თანაგრძნობა, მისი დღე დათვლილი იქნება და ეს პირველი ცდა ცოტაოდნად მსხვილ ეროვნულ საქმის წარმართვისა ჩვენი შემარცხვენელ კრახით დასრულდება.

ასეთივე საფრთხე მოელის ქართულ სასწავლებელს ქართველობის ნათიერ სიღარიბის მხრიაც. ახლა სასწავლებელს სახსარი ეძლევა იმ მოგებადან. რომელსაც ტფილისის სათავად აზნაურო საადგილ-მამულო ბანკი იძლევა. ჰაკრამ ვაქრობაში წავება და მოგება ძმები არიან და ამიტომ ადვილად შესაძლებელია, რომ ბანკს ყოველთვის არ დაუჩრჩეს საკმარისი მოგება. ამჟამად, მაგალითად, ბანკის საქმეები მაინც და მაინც ბრწყინვალედ არ მიმდინარეობს, მილიონ ნახევრის მამულები აქვს დარჩენილი და ვინ იცის, კიდევ რამდენი დარჩება აქედანვე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ მამულების გასაღების დროს ბანკს თვალსაჩინო ზარალი მაინც მოუვა და, მაშასადამე სახსარიც მოაკლდებათ ყველა იმ დაწესებულებებს, რომელთაც ბანკის მოგებიდან არსებობის წყარო ეძლევათ. ეს გარემოება დიდად დამაფიქრებელია და სასკოლო საზოგადოება ვალდებულია მიაქციოს ამას განსაკუთრებული ყურადღება. ერთის მხრივ იგი უნდა ეცადოს სასწავლებელში, რამდენადაც კი შეიძლება, ხარჯების შემცირებას, — ჯერ მარტო გაკვეთილების რიცხვის მომატება მასწავლებლებისთვის თითქმის 20 ათას მანეთის ყაირათს გააკეთებინებს, — და მეორის მხრივ სასწავლებლისთვის უნდა გამოსძებნოს ისეთი ნივთიერი წყარო, რომელსაც მუდმივი ხასიათი ჰქონდეს და ბანკის მოგებასავით „მოდრავი“ არ იყვის...  
ფ. გუგუჩაიაშვილი.

**წერილი ბ.ნის ფ. გოგიჩაიშვილის მიმართ**

ამ წლის „ივრის“ № 23-ში დაბეჭდილია თქვენი წერილი „ტფილისის ქართული გიმნაზია“, რომელშიაც მსჯელობთ ამ გიმნაზიის მასწავლებელთა მოქმედებაზე და ცდილობთ დამტკიცოთ, რომ მათი „ზნეობრივი შემეცნება“ მეტად ბნელი ყოფილა. საბუთი ასეთის მსჯელობისა სამწიერი მოგყავთ: ერთი ის, რომ ბრძოლა, მასწავლებელთა კორპორაციის მიერ ატეხილი სასწავლებლის რეორგანიზაციის სასარგებლოდ, გამოწვეული ყოფილა ახლანდელის განმათავისუფლებლის მოძრაობით; მეორე ის, რომ ვითომ მასწავლებლებს, ფაბრიკის მუშებსავით, ნაკლება შრომა და მეტო ქონა წამოუყენებიათ თავის დევიზად; მესამე ის, რომ თავიანთ მიზნის (შრომის შემცირების და გასამრჯელოს მომატების) მისაღებად სახმარ საშუალებად ვითომ დაუსახლებიათ გაფიცვა, გაკვეთილებზე ხელის ადება.

მე გახლავართ ერთი მასწავლებელთაგანი ქართულის გიმნაზიისა და ამიტომ საჭიროდ ვივლი, როგორც სიმართლის აღსადგენად, ისე პედაგოგთა კორპორაციის სახელის დასაცველად დაგიმტკიცოთ თქვენ, რომ თქვენი მსჯელობა მეტად უსამართლოა და თქვენი საბუთები ამ მჯელობისათვის ან მეტად უცნაურნი, ან სრულებით ყალბნი არიან.

განვიხილოთ ჯერ პირველი საბუთი. ის გარემოება, რომ მასწავლებელთა კორპორაციამ განმათავისუფლებელ მოძრაობის დროს აღძრა კითხვა სასწავლებლის რეორგანიზაციის შესახებ, განა შეიძლება მიღებულ იქნას სამწუხარო ნაშნად, შეკენებულად ს მხრით, მათა შედგავაიურ შადგაწყობის დასახსნათებლად? რუსეთის იმპერიის პოლიტიკური მდგომარეობა და კერძოდ ჩვენის ქვეყნისა 1905 წლამდე ისეთი სულის შემზუთავი იყო, რომ არამც თუ არ შეგვეძლო სკოლის რეორგანი-

ზაციაზე ლაპარაკი, არამედ ხმაგაკმენდილები ვცახცახებდით, — ვაი თუ ისიც დაგვიხურონ, რაც ბეზნიერის შემთხვევით ერთხელ ძლიერ იშოვა ქართველობაში. თქვენ კარგად უნდა მოგეხსენებოდეთ, რომ სამოსწავლო მთავრობა სულ უბრალო მიზეზს ეძებდა, რომ ჩვენი სასწავლებელი დაექვეტა, აგრეთვე ლეგდა ხმას, ამ სკოლის მასწავლებელნი და გამგენი კვილისაიმედონი არ არიანო, რუსეთის წინააღმდეგი ქართველი ტენდენციები აქვთო და სხ. ეს ერთის მხარით. მეორე მხრით ისიც კარგად მოგეხსენებათ, რომ 25 წლის არსებობის განმავლობაში ჩვენი სასწავლებლის ბედი ბევრჯერ ეკიდა დიდებულის თავად-აზნაურობის წყალობით. ეს დიდებულები მუდამ იმას გაიძახოდნენ, რად გვინდა კერძო, უფლებებო სასწავლებელი, ავიღოთ და გადავკეთო მთავრობას, იმან მართოს თავისებურად ჩვენი სკოლა და გვიზარდოს შეილებაო. ახა ამისთანა დროს, როდესაც გარედგან მთავრობა და შინ დიდებული თავად-აზნაურობა ასეთის მტრულის თვალით უცქეროდა ჩვენს სასწავლებელს, განა მასწავლებლებს შეეძლოთ კრინტი დაეძრათ რეორგანიზაციის შესახებ? ეს ხომ ნამდვილი უგუნურება იქნებოდა, წმინდა წყლის პოვოკაცია, სასწავლებლის მტრების გასახარებლად რა დროს რეორგანიზაციის ზაციაზე ლაპარაკი იყო, როდესაც თვით სკოლის არსებობა სათუო იყო და პირველი ზნეობრივი მოვალეობა მასწავლებელთა მდგომარეობა იმაში რომ თავიანთ უტოქტობით არ გამოეწვიოთ დაექვეტა სკოლისა. რომელიც, ბევრს ნაკლულევენებასთან, მაინც ფრიად და ფრიად სასარგებლო იყო ქართველობისთვის.

მაგრამ როდესაც პოლიტიკური პირობები შეიცვალა, როდესაც შესაძლებელი შეიქმნა უშეშრად სკოლის არსებობისათვის რეორგანიზაციის შესახებ კითხვის აღძვრა, ავიმასწავლებლებმაც აღარ იყრუეს და არ დაერადნენ გულწაფულად ეუწყებოდათ ქვეყნისთვის ყველა ნაკლულევენებანი სასწავლებლისა და ეჩვენებინათ მათი ასაცილებელი საშაილებანი. ასეთი იყო გავლას განმათავისუფლებელ მოძრაობისა პ. და-გოგიურს კორპორაციაზე და ეს გავლას, სამწუხარო ნიშნად კი არა, სასიხარულოდ უნდა იქმნას მიჩნეული, როგორც მასწავლებელთა სიფიხლის გამოჩაბტევილი.

მეორე თქვენი საბუთი, ვითომ მასწავლებლებს თავის დევზად წამოეყენებინათ ნაკლები შრომა და შეტეა ქობა სრულეებით ყალბია. ყოველს პედაგოგს მოეხსენება, რომ ყოველდღე ხუთისა და ოთხის გაკვეთილის ძლევა მასწავლებელს მეტად ღლის, ჯანმრთელობას ურყევს და ბოლოს შრომის უნარსაც არამეცს. იშვიათის ენერჯისა და ჯანის პატრონი უნდა იყვეს მასწავლებელი, რომ ყოველდღიურად სვინდისიერად აძლიოს ოთხი-ხუთი გაკვეთილი, სვინდისიერად ესწადოს მეორე დღის გაკვეთილებისთვის, სვინდისიერად ასწალოს მოწაფეთა რვეულები და თანაც თვალ-ყური ადევნოს მეცნიერებას და ლიტერატურას თავისთვის გასვითარებლად, რაიცა ისევე საქირთა მასწავლებლისთვის, როგორც კლასში გაკვეთილების ძლევა ოთხს-ხუთს წელწადს რომ მოახერხოს ეს ასე იშვიათმა მასწავლებელმა, მსხუთე-მეექვსე წელიწადს წელი მარც მოსწყდება და იძულებული გახდება ან გაკვეთილები შეიმცროს, ან ნაკლების მუყაითობით და ერთგულობით ასწალოს თავისი მოვალეობა. ჩვენი გიმნაზიის პედაგოგიურმა კორპორაციამ გაითვალისწინა ყველა ეს გარემოება და იმ დასკვნაზე მივიდა, რომ საქირთა საქმის სარგებლობისათვის მასწავლებლები არ იყვენ ძალიან დატვირთულნი გაკვეთილებით, რათა მათ ჰქონდეთ შეძლება თავი-

ანთ ჯანმრთელობის შეურყვევლად იშრომონ სვინდისიერად, როგორც კლასში, ისე სახლში. სამი გაკვეთილი დღეში ნორმად იქმნა მიღებული, მაგრამ მართო სამის გაკვეთილის მიცემით არ თავდება მასწავლებლის შრომა სკოლაში, რადგან მასწავლებელი იმ ვე დროს არის აღმზრდელი. სკოლაში სწავლის დრო გრძელდება, როგორც ვიცით, ხუთ საათ ნახევარს; ამას უნდა მივუმატოთ ნახევარი საათი კიდევ, რადგან დილით მოწაფეები იწყებენ მოსვლას სკოლაში ნახევარი საათით აღრე პირველის გაკვეთილის დაწყებამდე. ამიტომ მასწავლებლებიც მოვალენი არიან ნახევარ საათით აღრე გაიოცხადდნენ, ასე რომ მათ მოუხდებათ ფეხნოუცვლელად სკოლაში ყოფნა დღისათ ექვსი საათი. თავიანთ სამის გაკვეთილს გარეშე მასწავლებლები დასვენების დროს მოწაფეებთან ერთად არიან სკოლის ეზოში და კარიდორებში, ხოლო გაკვეთილების დროს, მორიგეობით, ზოგნი კარიდორებში და ეზოებში არიან ყურისდადევნელად, რომ კლასითგან გამოსული მოწაფეები ტყუილუბრალოდ არა სცდებოდნენ გაკვეთილს, ზოგნი კი შედიან ამხანაგების გაკვეთილებზე, რადგან აკონომის წესით თვით მასწავლებლები ადევნებენ თვალ ყურს ერთმანეთის მეცადინეობას. ეს იმ შემთხვევაში, როცა გაკვეთილს არ აკლდება არც ერთი მასწავლებელი. მაგრამ ძალიან ხშირია შემთხვევა, რომ მასწავლებელი რამე მიზეზით აკლდება გაკვეთილებს. იმის ადვილი მოვალეა დაიქიროს გაკვეთილებისგან თავისუფალმა მასწავლებელმა.

ამნაირად გამოდის, რომ სკოლაში სამსახურის ხანი დღიურად რეორგანიზაციის შემდეგ მასწავლებლისთვის იმაზე მეტია, რამდენსაც მსახურებდა წინად ხუთის გაკვეთილის მძლეველი, რომელიც მიდიოდა სკოლაში პირველ გაკვეთილის დაწყებისას და მოწაფეთა დასვენების დროს თავისუფალი იყო ყოველნაირი შრომისგან. სახლში გაწეული შრომაც რომ მივიღოთ სახეში, შეგვიძლიან ვთქვათ, რომ რაოდენობა დროსი მასწავლებლის მუშაობისა სკოლაში და სახლში დღიურად ახლაც და წინადაც ერთი და იგივეა. მხოლოდ ახლა შრომა უფრო შედგათიანია ჯანმრთელობისთვის და უფრო ნაყოფიერი სკოლისთვის.

სამაგიეროდ, რაოდენადაც ახლა შედგათებული აქვს მასწავლებელს შრომა, იმდენადაც შემცირებული აქვს ჯამაგირი. წინად შეტატის მასწავლებელ ხუთი გაკვეთილის დღიურად მძლეველი, იღებდ პირველს ხუთი წლის განმავლობაში 2560 მანეთს, ხოლო ხუთი წლის შემდეგ — 2710 მან. ახლა კი იგივე მასწავლებელი იღებს 2400 მან, ე. ი. 160 — 310 მანეთით ნაკლებს. ამის შემდეგ განა შეიძლება გეტქვათ, რომ პედაგოგთა კორპორაციამ თავის დევზად წამოაქმნა ნაკლები შრომა და მეტი ქირაო? პიჩქით, გამოდის რომ მისი დევზი ყოფილა: შრომა ჯანმრთელობისთვისა და შედგათიან და შედეგათის მიხედვით დაკლებული ჯამაგირი.

მესამე თქვენი საბუთი — ვითომ მასწავლებლებს თავიანთ მიზნის (შრომის შემცირების და გასამრჯელოს მომატების) მისაღწევად სახმარ საშუალებად დაესახებოდათ გაფიცვა — მეტის მეტად ფანტასტიურია მთელის ერთის წლის განმავლობაში არც ერთს მასწავლებელს და მათ უფრო მათეს კორპორაციას არსად არც დაუწერია და არც უთქვამს, რომ თუ შრომას არ შეგვიმცირებთ და გასამრჯელოს არ მოგვიმატებთ, გავიფიცებთ, გაკვეთილებზე ხელს ავიღებთო. პირიქით, ეს კი უთქვამთ მასწავლებლებს, რომ თუ საზოგადოებას არ ექნება ფული, ჩვენ მხად ვართ ნაკლებსაც დავკერდეთო. მაშ რამ გათქმევინათ ასეთი უცნაური რამ

მასწავლებელთა გაფიცვაზე იმ მიზნით, რომ შრომა შეემცირებინათ და გასამარჯვლო მოემატებინათ? ჯე შემძლიან მხოლოდ ერთი განმარტება მიეცე ამ უცნაურს აზრებს. ჯამაგირების რაოდენობა მოხსენებული იყო პედგოგოურის საბჭოს მიერ შემუშავებულს სარეორგანიზაციო პროექტში ერთს მუხლად. ეს პროექტი ხანდახან ლაპარაკში იწოდებოდა ავტონომიის პროექტად. საზოგადო კრებაზე შ. ჩიტაძემ გამოაცხადა, რომ, თუ ავტონომია არ იქნა მიღებული, იყოღვე რამდენიმე მასწავლებელი და აღმზრდელი (რიცხვით 16) სკოლაში აღარ დავრჩებით. აი ეს განცხადება მიგლიათ თქვენ გაფიცვის გამოცხადებად. ხოლო რადიანაც ჯამაგირებს ეხება ერთი მუხლთაგანი ავტონომიის პროექტისა, ამიტომ დაესკვნით, რომ მასწავლებლები იფიცებოდნენ ჯამაგირების მომატებისთვისო. ასეთი დასკვნა ფრიალ შემცდარი და უსაფუძვლოა. ჯერ ერთი განცხადება შიო ჩიტაძისა შეეხებოდა სკოლის რეორგანიზაციის იმ მუხლებს რომელიც შეიცავენ პედგოგოურის საბჭოს ავტონომიას, ესე იგი დაშოუკიდებლობას კომიტეტისგან სკოლის მართვა-გამგობაში, და არა გასამარჯვლოს მომატებას. მეორეც ისა, — შ. ჩიტაძის განცხადება არას გზით არ შეიძლება გაფიცვად იქნას მიღებული. პირველად იმით, რომ ეს განცხადება იყო გამოქვეყნებული სასწავლო წლის ბოლოს, როდესაც ადგილი საშოვა ია მასწავლებელი, მეორეც იმით, რომ იმავე განცხადებას შ ჩიტაძემ დაუმატა დასაშოშინებლად იმ პირთა, რომელთაც სამწლოდ დაინახეს იმდენის ახლის მასწავლებლის შოვნა, რომ ჩვენ დავრჩებით მასწავლებლად მომავალს წელსაც იმ დრომდე. ვიდრე ჩვენ მაგიერს მასწავლებლებს იშოვიდეთო სად არის აქ გაფიცვის ნიშნები? განა გაფიცულს ფარისის მუშებს როდისმე უთქვამთ ფარისკანტისთვის, ქარას თუ არ მოგვიმატებთ, მუშაობაზე ხელს ავიღებთო, მაგრამ, თუ ჩვენ მაგიერს მუშებს ახლავე ვერ იშოვით თანახმა ვართ წინანდელის ქირით ვიმუშაოთ, ვიდრე სხვა მუშებს იშოვიდეთო? ამნაირად ასწავლებელთა საქციელი, როდენადაც იგი გამოიხატა შ. ჩიტაძის განცხადებაში, არამც თუ არ წარმოადგენს არაფერს საერთოს გაფიცვასთან, არამედ მისი პირდაპირ წინააღმდეგობა.

ასეთია, ბ-ნო ფილიპე, საბუთები, რომლებზედაც თქვენ ამყარებთ თქვენს მსჯელობას ქართულის გიმნაზიის მასწავლებელთა ხნეობის ფაზიონომიის შესახებ. ნათქვამის შემდეგ ცხადია, რა ღირსებისაც იქნება თქვენი მსჯელობა სამართლიანობის მხრით.

დ. კარაჭაშკაძე.

**პატარა შიძრები**

შეთხველია უთუოდ იცის, რომ ტფილისში „უსაქმოდ დარჩენილ ინტელიგენტების ბიურო“ არსებობს და რომ ამ ბიუროს მკიდრო კავშირი აქვს სოც.-დემოკრატიულ პარტიის ზოგიერთ ცნობილ მეთაურებთან, მაგრამ შეიძლება, მას გაგონილი არ ჰქონდეს, რომ ამ ბიუროს მალე სახელის გამოცკლას უპირებენ და უნდათ „უსაქმურ ინტელიგენტთა უსაქმური ბიურო“ დაარქვან.

ქალაქის საბჭომ 27,000 მანეთი გადასდო, რომ ამ ფულით რამე დროებითი დახმარება აღმოეჩინა იმ მშრომელ ინტელიგენტებისთვის, რომელთაც ახლანდელ საერთო არეუდარების დროს სამსახური და მასთან ცხოვრების სახსარიც მოესპოთ, ამ დახმარებას მოწყალეების ხასიათი რომ არ ჰქონო-

და, გადასწყვიტეს ქალაქის სტატისტიკური აღწერა დაეწყოთ და ეს საქმე უსაქმოდ დარჩენილ ინტელიგენტებისთვის მიენდოთ. ხსენებულმა ინტელიგენტებმა თავი მოიყარეს და საქმის გააგედ და ხელმძღვანელად აარჩიეს ის ბიურო, რომელსაც ჩვენ „უსაქმურ ინტელიგენტების უსაქმური ბიურო“ დავარქვით.

მართლაც ახლა ამ ახალ სტატისტიკოსების და მათი ბიუროს მოღვაწეობას თუ გავიხსენებთ, იძულებული ვიქნებით აღვიაროთ, რომ ერთადერთი საქმე, რომელშიაც მათ დიდი მხნეობა და გატაცება გამოიჩინეს, იყო... მათი გაფიცვა, რომელიც საქმის დაწყებისთანავე მოაწყვეს იმიტომ, რომ თავიანთ „ინტელიგენტურ“ შრომას მეტად აფასებდნენ და დღიურ ჯამაგირად ერთი მანეთის მიღებას უყადრისობდნენ. ამ გაფიცვაში მათ „ბრწყინვალედ“ გაიმარჯვეს და შრომის ჯილდოდ მანეთის მაგიერად მანეთნახევარი მიიღეს.

საუბედუროდ, გაფიცვაში მამაცი უსაქმო ინტელიგენტები საქმეში.. ხარმაცი გამადგენ. ბიურო, რომელშიც არა ერთი ნაცნობი „ამხანაგი“ შეგვხვდება და რომელსაც თვალყური უნდა ედევნებია ამისთვის, რომ ამ საქმეში მონაწილეობა მხოლოდ ნამდვილად უსაქმოდ დარჩენილ ინტელიგენტებს მიელოთ, ამ მხრივ სულ უმოქმედო გამოდგადგვიღობრივ გაზეთებში არა ერთი ისეთი ფაქტი იყო აღნიშნული, რომელიც აშკარად ხდიდა, რომ სტატისტიკის საქმეში ფულს იღებენ ისეთი ინტელიგენტებიც, რომელსაც არავითარი გასაქირი არ აწუხებს, ან სამსახური ახლანდელ მოძრაობის დროს არ დაუკარგავთ. ამჩაირად ბიუროს დაუდევრობით საზოგადო ფული იფლანგებოდა. ასეთი დაუდევრობა რომელიმე „ბურჟუაზიულ“ დაწესებულებას ან სახელმწიფო კანცელარიას რომ დასტყობოდა თვით ამ ბიუროს წევრები, უეჭველია, საზოგადოებაში განგაშს ასტუდენ და იტყუდნენ, რომ საზოგადო ფულის ასეთი გაფლანგვა მხოლოდ ბიუროკრატიულ დაწესებულებას შეუძლიათ... მაგრამ „ბიუროს“ სახელი „ბიუროკრატის“ წაავაგს, ალბად იმიტომ უსაქმურ ინტელიგენტების უსაქმურმა ბიურომაც თავიდან ვერ აიშორა ბიუროკრატიული ჩვეულებები, — სიზარმაცე, დაუდევრობა და ამის გამო საზოგადო ფულის უანგარიშოდ გაფლანგვა.

თვით სტატისტიკოსებმა თავისი მუშაობა ისე მოაწყვეს, რომ თითოს დღეში ერთი ან ორი საათის შრომაც არ სჭირდებოდა. გამოიჩინეს, რომ ისინი ერთმანეთს არ აკლიდნენ საქმის სწრაფად შესრულებას, რომ ამნაირად საქმე გაეკრძმელებინათ და მეტი ჯამაგირი აეღოთ, რომ უსაქმოდ დარჩენილები ამ სტატისტიკის დროს მართლაც უსაქმურად რჩებოდნენ ლე იქცეოდნენ ისე, როგორც იქვევან ჩვენგან ათვალწუნებული ბიუროკრატები, როდესაც ჯამაგირს სრულად იღებენ და საქმის შესრულებას კი გაღრბიან. და უსაქმური ბიურო ხედავდა ამ საერთო უსაქმურობას და სდუმდა. — კატარა კირი მალა, მაგრამ კირმა თავი არ დამალაო: ქალაქის საბჭოს ქალაქის აღწერისთვის გადადებული ფული გამოელა და საქმე კი ჯერ კიდევ სანახევროდაც შესრულებული არ არის. ამ უსაქმურებს, რომელთაც, როგორც ეტყობა, არავითარ საქმის შესრულება არ შესძლებიათ, დაავიწყდათ, რომ შრომის ჯილდოთ საზოგადო ფული ეძლევათ და რომ საზოგადო ფულის ასეთი უსარგებლოდ გაფლანგვა ან ტყუულ-უბრალოდ მიღება ბოროტ მოქმედებას უდრის... თავის გასამართლებლად მათ მხოლოდ იის თქმა შეუძლიათ, ეს ფული შრომი ჯილდოდ არ გვეგულება, იგი მხოლოდ ქვემოაქმედება არისო ან...

მოწყობება, და ჩვენც მას ასე ვიღებთო. ამნირ თავის მართლებას თუ მიმართა ამ მცონარე ხალხში და მათმა ბიურომ, ჩვენ აღარაფერი გვეთქმის...

\*\*\*

ერთი ახირებული კაცი სვ. წერეთელია, ის ცნობილი სვ წერეთელი, რომელიც ს.-დემოკრატიულ პარტიის „რეკომენდაციით“ ჩვენმა ხალხმა სათათბიროში თავის წარმომადგენლად გაგზავნა „მუშაში“ იყო დაბეჭდილი და შემდეგ სხვა ადგილობრივ გაზეთებშიაც გადაბეჭდილი რამდენიმე თხივნა და ქალაღი, რომელიც ამტკიცებდა, რომ ეს „საუკეთესო ს.-დემოკრატი“, მუშა ხალხისთვის მებრძოლი და უანგარო საზოგადო მოღვაწე, მისში ხალხის წარმომადგენლად არჩეული, მარტის დასმლევს კიდევ ხვეწნა მუდარით მიმარავედა ადგილობრივ ადმინისტრაციას და ჯარის უფროსს და ს.ხოვედა ხალხისთვის დარჩენილი სადრამო ფული გადაეხდევინებინათ. ჩვენ არ გამოვუდგებთ იმ საინტერესო კვლილგების გამოკვლევას, რომელმაც მარტში დრამის აქტრეფი ადამიანი მისში ს.-დემოკრატიულ პარტიის კანდიდატობის ღირსად გახადა, რადგანაც ეს ფაქტი თავის თავად დალაღებს იმას, რომ ხსენებულ პარტიის წარმომადგენლები ხშირად თვით პარტიულ, საპროგრამო კითხვებში სიუჟეტებს მოკლებულ არიან. ჩვენთვის საინტერესოა ის გარემოება, რომ ექს—დებუტატი ცილაღას თავი იმართლას იმ მძიმე ბრალდებისაგან, რომელიც მის საწინაღმდეგოდ წამოაყენა გაეთმა „მუშაში“.

ეს უცნაური თავის მართლება დაბეჭდილია „ჩვენი ცხოვრების“ მეოთხე ნომერში. წერეთელი აცხადებს, ვეთონ გლხებმა შეგაროვეს ჩემ სასარგებლოდ ფული, მაგრამ პოლიციამ ნება არ დართო, რომ ჩემთვის გადმოეცათ და ამიტომ სოფლის წარმომადგენლებმა მთხოვეს გუბერნატორისთ ის მიმეწერა და ადგილობრივ პოლიციის უკანონო მოქმედება გამომემტყავენებიაო. მეც სატუსაღოში, ჩემთან მყოფ ამხანაგებთან მოლაპარაკების შექმდე და მათის თანხმობით, გადავწყვიტე ესე მოვეტეულიყავი, თუმცა ვგრძნობ, რომ პრინციპალური შეცდომა მომივიდა, რადგანაც ადმინისტრაციასთან სათხოვნელად არ უნდა მივსულიყავი, მაგრამ რა გვექნა, როდესაც მტერი საშველი არ გახლდათ“,—ცოლშვილი გაქირვებულ მდგომარებაში მყავდაო.

ეს თავის მართლება იმით არის საინტერესო, რომ სვ. წერეთელს თავის თხოვნების შინაარსი დავაწებია. მის პირველ თხოვნაში სრულებით არ არის ნახსენები ადგილობრივ პოლიციის უკანონო მოქმედება, პოლიციის წერეთელი მხოლოდ მეორე თხოვნაში უჩივის და უჩივის იმას, რომ ადგილობრივი ბოქაული უფროსის ბრძანებ ს არ ასრულებს და სოფელს ამ ბრძანების თანახმად სადრომო ფულს არ ახდევინებს. ამას გარდა სვ. წერეთელს არ ახსოვს, რომ გაზეთებში კიდევ ერთი საბუთი იყო დაბეჭდილი,—მისი წერილი თავის მოადგილესთან, რომელსაც უუფლის ჩემი კუთვნილი სადრამო ფული მრევლს გადაახდევინე და მე აქეთვე გამოვიგზავნე, ან სულ ნუ დარჩები იმ მრევლში, თორემ ამას ვერ მოვიკარგებო.“ საკვირველია აგრეთვე, რომ ხალხს ძალიან ჰყვარებია მღვდელი წერეთელი, სხვა არც ერთი მღვდელი არ სდომებია, მისთვის თავის ნებით ფული შეუგროვებია და ფულის გადაცემა კი წერეთლისთვის ჩუხად ვერ მოუჯერებია, თუმცა ხალხში ათი ათასობით იკრიბება ფული ისე, რომ ადგილობრივი პოლიცია ხელს ვერ უშლის ფულის შეკრებას. რაღა

სვ. წერეთელზე შეუძლებელი გახდა ის, რაც საზოგადოდ ჩვენში ადვილი მოსახერხებელია. ან რატომ მოხდა, რომ ეს ნებაყოფლობით შეწირული ფული, „იფლანგებოდა“, როგორც ამას თვით სვ. წერეთელი მოწმობს,—ამიტომ მერქარებოდა ხსენებული ფულის მიღებაო.

საგულისხმოა სვ. წერეთლის თავის მართლება, პრინციპალური შეცდომა მომივიდა, მაგრამ ეს საქმე ამხანაგების თანხმობით ჩავიდინე და სხვა გზა არ იყო, ცოლშვილი გაქირვებულ მდგომარებაში მყავდაო. ძალია უნებურად გვაგონდება ს.-დემოკრატიულ პარტიის სხვა და სხვა შეცდომა და ხშირად პარტიულ პროგრამის დარღვევაც, რომელსაც შემდეგ „ტაქტიკურის მოსაზრებით“ ამართლებდნენ. ეს ტაქტიკური მოსაზრება უდრს ცოლშვილის გაქირვებას, რომელმაც სვ. წერეთელს „პრინციპალური შეცდომა“ ჩაადგინა. დატუსაღებულ ამხანაგების თანხმობა სვ. წერეთელს არ ამართლებს, ეს თანხმობა მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ პარტიაში კიდევ სხვებიც ყოფილან ტაქტიკურ მოსაზრებით სხვა და სხვა პრინციპალურ შეცდომების ჩამდენნი. ჩვენთვის ასეთ პირებს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს,—იმ პარტიამ იკითხო, რომელსაც ასეთი პირები თავით საუკეთესო წვერებად მიანჩნა და რომელიც შესაძლოდ სცნობს სვ. წერეთლისთანა კაცებს ხალხის წარმომადგენლობა მიანდოს.

\*\*\*

ერთი უცნაური წარმომადგენელი ახლა ქართველ სამღვდლოებსაც ჰყავს,—ეს ის ახალი გზარბოსია, რომელიც საქართველოში მათარხების და ხიმტების იმედით მობრძანდება. საქართველოს სამღვდლოებამ გადაქრია გამოაცხადა თავისი სურვილი, რომ აღდგენილ იქნას ქართულ ეკლესიის უწინდელი დამოუკიდებლობა, ხალხის ერთიან წაწილმაც შოითხოვა ადგილობრივ თავისუფალ ეკლესიის მოწყობა,—ამის წინააღმდეგი გახდენ რუს პატრიოტებთან ერთად ქარაველი ს.-დემოკრატები, რადგანაც ეგონათ, რომ ქართულ ეკლესიაში მღვდელი თვით ხალხმა თუ აირჩია, ამით სრულიად რუსეთის მუშათა ს.-დემოკრატიული პარტია დიდ საფრთხეში ჩავარდებაო. ჩვენ არ გვეგონია, რომ ამ პარტიას საქართველოში ბიუროკრატიულ და პოლიციურ ეკლესიის მაგიერად თავისუფალი ეკლესიის დაარსებით რამე დაჰკლებოდა და ამიტომ დიდ შეცდომად ვთვლით, რომ ჩვენებურმა ს.-დემოკრატებმა ხალხს საეკლესიო საქმეების მოწყობაზე თვალი აარიდებინეს და ამით შეუძლებელი გახადეს იმ რეფორმის ვახხორციელება, რომლისთვისაც ქართველმა სამღვდლოებამ ნიადაგი ღირსეულად მოამზადა. ქართველ სამღვდლოებს ხალხისგან არ დაეძრახვის,—იგი არ შეუშინდა ციხეს და გადასახლება, მან თავის ზურგზე იგემა კახაკების მათარხი სასტიკი ბოიკოტი გამოუცხადა სინოდს, სასურველად სცნო, რომ მღვდელს თვითონ ხალხი ირჩევს ხოლმე, მაგრამ, ხსენებულ მიზეზის გამო, მისი განზრახვა ჯერჯერობით შეუსრულებელი რჩება და მათარხისაგან ძალიად მოვლინებული ექსარხოსი ტფილისში ჩამდის... ამ ექსარხოსის უფლებათა დასაცველად ადგილობრივმა უმაღლესმა ადმინისტრაციამ ისევ ძველ და ნაცად საშუალებას,—კახაკების მათარხებს, მიმართა,—სამღვდლოებს შეატყობინეს, რომ ყოველ ურჩ მღვდელს ამ კახაკებთან ექმნება საქმეო. ცხადია, რომ ასეთ პირობებში სამღვდლოება, რომელსაც ხალხი გვერდში არ უდგა, პირდაპირ ბრძოლის გაწევს ვერ ვაბედავს და დროებით მაინც დამორჩილებას არჩევს პარტიებშიც ისევე, როგორც რუსეთში მომქმედი სარეკო



ლუციო დროებით ხელი აღდგა აშკარა ბრძოლაზე იმისთვის, რომ შემდეგ ორკეცის ძალით შეებრძოლონ თერომპყრობელობას.

წარსულის მოგონებანი\*)

(გაგრძელება)

II

ვინტა კნახისი, კვლავ კნახისი, ან აკმარისი, კადეკ კნახისი.

გრ. ორბელიანი

საქართველოში პირველ ჩასვლის შემდეგ კიდევ ერთ წელიწადს დავრჩი ავსტრიის საზღვარზე, სადაც ერთ პოლონელის ოჯახში აღმზღვლად ვიყავი. მკალი წელიწადი მასწავლებლობდა საქართველო და იქითკენ მივისწრაფოდი. ტუილიდიან მომდიოდა წერილები, ვაზეთები და წიგნები, — მათი მიღება და წაკითხვა ძალიან მასიამოვნებდა, — ჩემი ყოველი ფიქრი საყვარელ საქართველოს გარს უტრიალებდა.

ბოლოს, როგორც იქნა, 1885 წელს, მარიამობისთვის საქართველოსკენ წამოვედი და სამუდამოდ დავსტავე პოლონეთი, სადაც რამდენიმე წელიწადს დავჰყავ. ეს ცულილება, — ერთ ერის ქვეყნიდან მეორე ერის ქვეყანაში გადასახლება, — ჩემთვის ადვილი არ იყო. მართალია, სულით ზეგულით მინდოდა მალე ჩავსულიყავი საქართველოში, მაგრამ პოლონელ ნაცნობების დატოვებაც ძალიან მძინებდა. მართლაც, რაკი ჩვეულებად მაქვს შეძლებისდაგვარად გავიცნო და დავიხლოვო ის ერი რომლის ქვეყანაშიაც ცხოვრება მიხდება, და რაკი პოლონელებს ისედაც სინატიური ხასიათი აქვთ, ამიტომ ბევრი ცნობილი პოლონელი მწერალი გავიცანი და დავიხლოვე; ზოგიერთს დავუმეგობრდი კდეც პოლონელები საზოგადოდ მეტად დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ ყველაფერს, რაც მათ ცხოვრების ან მწერლობის შესახებ იწერება გერმანულ ჟურნალ ვაზეთებში, და, რაკი მე დრო გამოშვებით ვებქდავდი გერმანულად პოლონურ მწერლობის, ხელოვნების და საზოგადოებრივ ცხოვრების შესახებ ანგარიშებს, პოლონელებიც ცდილობდნენ ჩემ გაცნობას, რომ ანაირად ჩემ ნაწერებზედაც რამე გავლენა ჰქონოდათ.

საზოგადოდ ყველა მწერალი სახელის მოყვარულია, მაგრამ პოლონელ მწერლებს ეს თვისება უფრო ემჩნევა. ვარშავაში სტუმრად ვიყავი ერთ ცნობილ დრამატულ მწერალთან, რომლის ნაწარმოებს მაშინ პოლონურ სცენაზე დიდი სახელი ჰქონდა. ოთახში შემოვიდა აგრეთვე ცნობილი რომანისტი და მასპინძელმაც გამაცნო იგი, მაგრამ ამ გაცნობის დროს სტუმარს ჩემი სახელი და გვარი არ უთხრა. ამ გარემოებამ ძალიან გამაყვირვა, მაგრამ, სტუმარი რომ წავიდა, მასპინძელმა თვითონ ამიხსნა თავისი საქციელი და მითხრა: „არ მინდოდა სტუმრისთვის თქვენი გვარი შეთქვა, რადგანაც მან იცის, რომ გერმანულ ვაზეთებში ჩემ შესახებ გიწერიათ. თუ შეიტყო, რომ ჩვენ ერთმანეთის პირადი ნაცნობები ვართ, მაშინ თქვენს შეხედულებას ჩემი ნიქისა და ნაწარმოების შესახებ მის თვალში ფასი დაეკარგება, ხომ იცით, რომ ამ შემთხვევაში უცნობის აზრს მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მეგობრის ან ნაცნობისა!“ აი, როგორ ცდილობენ პოლონელი მწერლები სახელის მოხვეჭას!

პოლონელ მწერლობის უმეტესობა თავის განათლებით მაღლა სდვას და ზოგიერთი მათგანი შესამჩნევ ცოდნის პატ-

რონიც არის. თითქმის ყოველი მათგანი კარგად გაცნობილია პოლონურ მწერლობის გარდა აგრეთვე ფრანგულ და გერმანულ მწერლობას, ინგლისურ და იტალიურ მწერლობის ცოდნაც მათში იშვიათი მოვლენა არ არის. ამას გარდა ისინი მოგზაურობენ, ხშირ-ხშირად დაიარებიან ბერლინში, პარიზში და ვენაში და მრავალმხრივად თავის განვითარებას ცდილობენ. წერის კილო და ენა მათ მეტად მოხდენილი აქვთ, თუმცა გამოჩენილი მწერალი მათში ხშირი არ არის, — ამ უკანასკნელ ოცი წლის განმავლობაში, მაგ., პოლონელებს გამოაჩნდათ მხოლოდ სამი თუ ოთხი ისეთი მწერალი, რომელთაც საყოველთაოდ სახელი გაითქვეს. დანარჩენები კი ისეთ მწერლების გუნდს ეკუთვნიან, რომელთა ნაწარმოებს ხან და ხან უცხო ენებზედაც სთარგმნიან, მაგრამ წაკითხვის მხოლოდ ერთხელ კითხულობენ ხოლმე, რადგანაც მათი წაკითხვა დიდ და ხანგრძლივ შთაბეჭდილებას არ ახდენს.

ამის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ პოლონელებს საზოგადოდ ფილოსოფიური მსჯელობა არ ეხერხებათ. მათი მწერლები უფრო ცდილობენ განახოვადონ რომელიმე მოვლენა, ვიდრე გააჩინონ იგი და მიზეზი გამოუხაზონ. ამას გარდა პოლონელები გულახდილები არ არიან და მოახრობებში აწერილი მოვლენა ან ხასიათები სინამდვილეს საფსებით არ გამოხატავენ; თვით მოახრობის კილო ან ნამეტანი სანტიმენტალური და ან ნამეტანი ჰესისიმისტურია. პოლონელი მწერლები ხშირად ცდილობენ თავიანთ ნაწერებს იუმორისტული ან სატირული ხასიათი მისცენ, მაგრამ ამას ვერ ახერხებენ, რადგანაც ენა მახვილობა უფრო აქვთ, ვიდრე ნამდვილ სატირიკოსის ნიქი, — და რამოდენიმე ხაკვესით კი სატირული თხზულება არ დაიწერება.

იუმორი უნდა იყოს შემუშავებული და ობიექტიური, რომ ყოველივე მოვლენის სათავეს შეეხოს, — ასეთი იუმორი პოლონელებში არ არის და ამიტომ მათ არც ერთი გამოჩენილი სატირიკოსი არა ჰყავთ.

პოლონელებში რომ ვტრიალობდი, ჩემ თავს კულტურულ საზოგადოებაში ვგრძნობდი, თუმცა ამასთანავე ვხედავდი, რომ ეს კულტურა გერმანელების კულტურაზე უფრო დაბლა იდგა, რასაც თვით პოლონელებიც არ უარჰყოფენ. ეს განსხვავება უფრო თვალსაჩინოა ხოლმე სოფლად, თუმცა იქაც ადგილობრივი ინტელიგენცია კულტურულ ცხოვრებას ადგა.

პოლონეთში ყოფნის დროს მე საზოგადოდ ვუახლოვდებოდი იქაურ მცხოვრებლებს და ბევრ რამეში ვეთანხმებოდი კიდევ მათს საერთო შეხედულობას. მაგრამ ყელაფერში ასე არ იყო. სარწმუნოებრივ კითხვებში, პოლიტიკურ ფილოსოფიაში და საზოგადოებრივ ეთიკაში ჩემ პოლონელ მეგობრების აზრი მე ხშირად შემეცდოდად მიჩანდა. მე იმ დროს ხელმძივრებით ვიცადი პოლონური ენა, საფუძვლიანად გაცნობილი ვიყავი პოლონეთის ისტორიის და მწერლობის, ბევრს გამოჩენილ პოლონელსაც ვიცნობდი, მაგრამ ჩემ თავს მაინც გერმანელად ვგრძნობდი და გერმანელების ეროვნულ აზროვნების გავლენას ვერ ვიშორებდი. და როცა საქართველოში ჩამოვედი, თან წამოაყვია ძვირფასი რწმენა, რომ სხვა და სხვა ეროვნებას ხშირად შეუთანხმებელი ფსიხოლოგია აქვს, რომელიც მათ იძულებს ერთსა და იმავე პირობებში სხვა და სხვა გზაზე დადგომას და სხვა და სხვა საშუალებით საქმის მოწყობას. ეს რწმენა შემდეგში ყოველთვის მაიძულებდა, ჩემ, გერმანულ, თვალთ არ განმესაჯა სხვების ნამოქმედარი და ყოველი საზოგადოებრივი მოვლენა ადგილობრივ პირობათა მიხედვით შემესწავლა.

\*) იხ. ივერია № 25.

არისტოკრატ-პოლონელების ქვეყნიდან საქართველოში წამოსვლა მოსვენებად შემერგო, აქ ჩემ აზროვნებას და გრძნობებს ახალი ძალა მიეცა და მე სრულებით აღარ ვზანობდი იმას, რომ მეტად კულტურულ ქვეყანაში ცხოვრებას მოვშორდი. პირიქით, მეტი სიმარტივე და ბუნებასთან სიახლოვე შენატრებოდა.

მართალია, მალე დაგრწმუნდი, რომ ქართველებშიც ხშირად აღამიანი რიდეს ეფარება და ბუნებრივობას გაურბის, მაგრამ ჰინც საზოგადოდ აქ ნაკლები შაბლონებია, — ყველასათვის საერთო და ყველასთვის საჭილდებულო მოქედების სახე ჯერ გამოჩვენებული და შემუშავებული არ არის.

საქართველოში მეორედ ჩამოვედი 1885 წ. აგვისტოს. ტფილისში მხოლოდ რამოდენიმე დღეს დავჰყავი და ნაცნობებში შევხვდი ვანო მაჩაბელს, რომელსაც შემდეგ ძალიან დავუახლოვდი. იგი კარგად იცნობდა გერმანულ მწერლობას, მაწვე შემატყობინა, რომ ბარონი და ბარონესა სუტტენერები, რომელთაც მაშინ თავიანთ ნაწერებით უკვე სახელი გაითქვეს გერმანიაში, ტფილისიდან წასულანო. ორივე სუტტენერი, ბარონი და ბარონესაც, გამოჩენილი აღაწიანები და დიდი ნიჭის პატარანები იყვენ. ბარონესამ სახელი გაითქვა თავის ცნობილ რომანით: „ძირს იარალი“ და საერთაშორისო მშვიდობიანობისთვის დაუღალავი მოქმედებით და პროპაგანდით. ბარონმა სუტტენერმა რამოდენიმე რომანი დასწერა, სხვათა შორის „დარეჯანი“ და „ბატონი“, სადაც აწერილია ქართველების ცხოვრება. როგორც მოთხრობა, „დარეჯანი“ სჯობია, თუმცა მეორე რომანშია მრავლად არის შესანიშნავი ადგილები, მაგალითად, მეგრულ გაზაფხულის დწერა, რომელიც ცოცხლად გადმოგვცემს სამეგრელოში ბუნების გამოღვიძებას. ბარონმა სუტტენერმა დასწერა აგრეთვე ერთი წერილი „ვეფხვის ტყაოსანზე“, რომელიც შემდეგ ი. მეუნარ გამი გადმოთარგმნა და გაზ. „კავკაზში“ დაბეჭდა.

სუტტენერები ტფილისიდან ვენაში წავიდენ და იქ ბარონესა მთელი თავისი ენერჯით დაადგა მშვიდობიანობის იდეის პროპაგანდას, მან ევროპის სხვა და სხვა გამოჩენილ მოღვაწეებთან ერთად დააარსა „მშვიდობიანობის ლიგა“, რომელსაც მიზნად ჰქონდა მილიტარიზმის მოსპობა და რომელიც ყველგან დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა. ამ ლიგის სულის ჩამდგმელი და ერთი უმთავრესი მოღვაწეთაგანი იყო ბარონესა სუტტენერი, რომელიც ოცი წლის წინეთ ბავშვებს ასწავლიდა ტფილისში. იმ დროს, ალბად, ჯერ კიდევ არავინ არ ფიქრობდა, რომ ამ ქალის გულში ამდენი გრძნობა იმალდებოდა და რომ მისი გონება ევროპის პათვისცემას დაიშახუტებდა.

სუტტენერები ქართველების ცხოვრებას მხოლოდ ზერეულედ იცნობდენ. ევროპულ ცხოვრების სიყვარული უშლიდა ადგილობრივ ხალხთან დაახლოვებას და ამიტომაც მათ ვერ მოახერხეს ქართველთა ეროვნულ გრძნობებისა და მისწრაფების გაცნობა.

(შემდეგი იქნება)

საქართველოს მემორიუმის ისტორია

თავი მხორა

ვაკრები და ხელისწები. მრეწველობა და აღმშენებლობა.

როგორც სოფელი მიწადმოქმედების კერად იყო და არის ეხლაც, ისე ქალაქი განსაკუთრებით აღებ მიცემობის და მრეწველობის ბუდეა. ვაკრები და ხელისწები უფრო ქალაქ ადგილებს ეტანებოდენ. ვაკრების გარდა იქ მხოლოდ მოხე-

ლენები ცხოვრობდენ, მაგრამ ისინი სხვა წოდებას ეკუთვნოდენ. ქალაქის მუდმივი ჰკვიღრი უძველეს დროსვე „მოქალაქეებად“ იწოდებოდენ (იხ. აბო თბილელის ცხოვრება. საეკლ. მუხ. გამოც. გვ. 33, ქართლ. ცხ., გვ. 375, 470 გამ. კვიპინაძისა.) უკვე სტრაბონი აღნიშნავს, რომ პირველ საუკუნის დამდეგს ქართველებს კარგად მოწყობილი ქალაქები ჰქონდათ, სადაც შენობებს ხუროთმოძღვრების წესის მიხედვით აგებდენ, კრამიტით ხურავენ, მოედნებს კი საუცხოვო საზოგადო დაწესებულების სახლები აშენებდენო (Geographica lib. XI cap. 3).

იმ დროს, რომელიც ჩვენის გამოკვლევის საგანს შეადგენს, რასაკვირველია, განსაკუთრებით ტფილისის და ქუთაისის იყო განთქმული. ამათ გარდა მე-VIII—XIII საუკუნის საისტორიო წყაროებში შემდეგი ქალაქებია მოხსენებული: ოლთისი (ქართ. ცხ. 311) ჰცხეთა (ibid. 316) არტანუჯი (სუშბატის ქრონიკა. ე. თაყაიშვილის გამ. 73), ახალქალაქი (ქართ. ცხ. 325), ოძრვე (ib. 428), რუსთავი (ib. 431). ატენი, მე-VI საუკუნეში ბაგრატ მეფის მიერ აშენებული (იხ. ატენის წარწერა, თ. ჟორდანი, ქრონიკები I, 260), დმანისი (ქართ. ცხ. 345) და ტინვანი (ქართ. ცხ. 432). უეჭველია სხვა ქალაქებიც იქნებოდა იმ დროში, მაგრამ, რაკი წყაროებში პირდაპირ აღნიშნული არ არის, ამიტომ ჩვენ მათი სახელები არ გამოგვიწერია. პირველი ადგილი სივრცითაცა და სიმდიდრითაც ამ ჩამოთვლილ ქალაქებს შორის ტფილისს ექირა, მეორე—ქუთაისს; მაგრამ უკანასკნელი განსაკუთრებით ქართული ქალაქი იყო და ამის გამო უფრო საინტერესო იქნებოდა მისი სამოქალაქო წესწყობილებისა და ცხოვრების შესწავლა; ტფილისის სწორედ ამ ხანის განმავლობაში, სახელდობრ მე-VIII—XI საუკუნეში, არაბების ხელში იყო; მხოლოდ დავით აღმაშენებელმა განდევნა ისინი და საქართველოს დედაქალაქი სამშობლოს დაუბრუნა. ამისგამო ტფილისის სამოქალაქო ცხოვრებას არაბების წესრიგის გავლენა ეტყობა. სამწუხაროდ, იმ დროინდელი ქუთაისის არც ერთ საისტორიო თხზულებაში არ არის აწერილი. ამის გამო პირდაპირ ტფილისის შესწავლას უნდა შევეუდგეთ.

არაბების მწერლების სიტყვით ტფილისი დერბენდზე უფრო პატარა ყოფილა. ქალაქს გარეშემო ორი თიხის ზღუდე ჰქონია შემოვლებული და სამი კარები ჰბმია (ალ-ისტაჰრი Карауловъ. Свѣдѣнія арабск. писат. о Кавказѣ. Собрн. мат. для опис. мѣстн. Кавказа XXIX, გვ. 11—13). აბოს ცხოვრებიდან ჩანს, რომ ტფილისში ციხე მდგარა (საეკლ. მუხუდუმის გამ. გვ. 32). ქალაქში მტკვარზე ორი ხიდი ყოფილა გადებული სწორედ იმ ადგილას, სადაც ეხლა ავლაბრის ხიდებია. ხიდები ტფილისის ისანთან აერთებდენ (ქართ. ცხ. 3256), ამ ორივე ხიდზე აღმართული იყო ჯვარი (ib. გვ. 32). ხილთან, მტკვრის იქითა ნაპირას, იმ კლდეზე, რომელიც მტკვარს დაჰყურებს, ერთი შენობა იდგა, რომელსაც მე-VIII საუკუნეში სადალჰო“-ს ეძახდენ (ib. გვ. 32). დილეგი ქართული სიტყვა არ არის, იგი სპარსულად ტუსალსა ნიშნავს; მაშასადამე, სადილეგო სატუსალო. ანუ საყრობილე უნდა ყოფილიყო. მდებარეობის აღწერიდან მტკიცდება, რომ ეს სადილეგო იმ ადგილას მდგარა, სადაც ეხლა მეტეხის ციხეა. ქალაქის შუაგულში ამირის ტაძარი, ანუ დარბაზი იყო, ხოლო ზღუდის გარეთ, ვგონებ სადილეგოს მახლობლად, ქალაქის სასაფლაო ჰქონდათ. ამ ადგილას, იოანე საბანისის სიტყვით, „სავაღებულ ეწოდების, რამეთუ მუნ არს საფლავები კაცთა მის ქალაქისათა“ (ib. 32). ზღუდეს ორი კოშკი ჰქონდა: ერთს

წყალურის კოშკს ეახდენ, მეორეს თაბორისას, იქ ქალაქის მცველი ჯარი იღვა ხოლმე (ქარ. ცხ. 325). ქალაქის კარები კლიტეებით იკეტებოდა (id. 325). აღ ისტარის თქმით, ტფილისი ძალიან აყვავებულია, — ხილითა და ბოსტნეულებით მდიდარი ქალაქი იყო\*)

ტფილისი როგორც აღნიშნული იყო, სარკინოხთა შემოსევის შემდეგ დავით აღმაშენებელმა არაბებისა და სპარსელების ხელში იყო. მართალია, იგი უკვე ბაგრატ IV-ე ჰქონდა ერთ ხანს დაპყრობილი (ქარ. ცხ. 325), მაგრამ საბოლოოდ მხოლოდ მისმა სახელოკანმა შეიღიშვილმა შეიპყრათა საქართველოს. თანამედროვე ისტორიკოსი ამბობს „მეორესა წელსა დიდა მუჟეჟან ქაღაჩი ტფილისი, პირველსავე ომსა, ოთხსა წელს ქინებუდი სძარსთა, და დაჟეჟკადარა შეიღათა თვისთა საჭურჭლედ და სხლად თვისად საუკუნოდ. ქრონიკონი იყო ტჰმ. (ქარ. ცხ. 364). ეს თარიღი 342 უღრის 1122 წელს ქრ. შემდეგ.

მეფემ რომ ტფილისი აიღო, გაჯავრებულ გულზე ქალაქი არ დაინდო და, არაბების ისტორიკოსის შემსუდღინ იუსუფ, ანუ სიბტ იბნ ალ-ჯაუბის სიტყვით, აიკლო და გადასწვაო. მაგრამ მეტე მორბილებულა და ცდლობდა ქალაქის მკვიდრთა გული მოეგო მეფემ მაჰმადიანებს უპირატესობა მიანიჭა, მან დააწესა, რომ ტფილისში ღორი არავის დაეკლა, პარსკეობით მაჰმადიანებს ნება ჰქონდათ მგზითში შესულნიყვენ და ელოცათ: ქართველები საზოგადო აბანოში იმ დროს, როდესაც იქ მაჰმადიანები იყვენ, არ უნდა შესულიყვენ. იგივე ისტორიკოსი მოგვიხსნის, ვითომც დავით აღმაშენებელს მაჰმადიანებისათვის აღეთქვას დი-აბეშა და დინარზე ღეთის, მას წინასწარმეტყველისა (მუჰამედის) და ხალიფების სახელები იქნება აღბეჭდილიო (იხ. Defréméry. fragm. géogr. et histor. Caucase et Russie mérid. journal Asiatique 1849 თბათვე. ამის ქართული თარგმანი ი. მაკავარიანის მიერ მოამბეშიც დაბეჭდილია 1897 წ. № XII გვ. 6—7). აქ უკანასკნელ ცნობას დავითის მოჭრილი ფულები უარპყოფენ; იქ არც მუჰამედის, არც ხალიფს სახელები არ აწერია, პირიქით, არაბულად ფულის ზურგზე ზედწერილი (legenda) აქვს: მეფეთ მეფეთ დავით გიორგის ძე, მესიის ხმელიო. დიმიტრი I ფულს კი მართლა მეფის სახელის გარდა აწერია „ალ-მოკტაფი ამირალ-მულმინინა (ხალიფა მოკტაფის სახელია); მისივე სხვა ფულს ხალიფა მასუდის სახელიც აწერა. უეჭველია, არაბების ისტორიის ცნობაც დიმიტრის ამგვარ ფულებზე უნდა ყოფილიყო დამყარებული; მაგრამ დასკვნაში არაბ მწერალს, ეტყობა, შეცდომა მისულია, თორემ დავით აღმაშენებელს რომ მართლა ასეთი პირობა დაედო, მაშინ ხომ მის მოჭრილ ფულსაც უნდა ჰქონოდა ხალიფის სახელი. მის ფულებს კი, პირიქით, თითქოს განგებ, მაჰმადიანების გულის გასახეთქად, ეწერა „ქრისტეს ხმალიო“.

მანვე მეფე გულმოდგინედ შეუდგა ქალაქის განახლებას და აღბეჭდილობას ყოველისფრით ხელს უწყობდა. მან

\*) რასაკვირველია ტფილისი სავაჭრო სახლებით, დუქნებით, ანუ, როგორც მაშინ ეძახდნენ ხოლმე, „ქულბაქებით“ იქნებოდა საუკეთესო ქალაქი უქულბაქად წარმოუდგენელი. როცა, მაგ., ბაგრატ მეფემ ატენი ქალაქად აქცია, მან თავდაპირველად სახალხე ადგილნი და საქულბაქენი დანაშნა და სახლები და ქულბაგნი ააგებინა (ატენის წარწერა მე-IX-ს ჟორდანიას ქონიკა, I, 26). ქულბაგი, ანუ ქულბაქი, ქართული სიტყვა არ არის და სპარსულ „ქულბაქ“-იდან არის წარმომდგარი ქალაქში ყოველთვის ცალკე ფართო ალაგი იყო ხოლმე, სადა მოქალაქენი თავს იყრადნენ ხოლმე. ასეთ ალაგს „მოედანს“ ეძახდნენ (ქარ. ცხ. 325).

მგზავრებისათვის ქარვასლები და სასტუმროები ააგო (შემსუდღინ იუსუფ, ibid.). ყველაგან, საცა კი საქირო იყო, აღაშენა კედნი მდინარეთა სასტიკთა და გზანნი საწყინოდ სავალნი ქვა-ფენილ ყვნა“-ო, მოგვიხსნის მემატინე (ქარ. ცხ. 373). მეტე ქვაფენილი ხომ პირველი საქმეა აღბეჭდილობის აღორძინებისათვის და სწრაფ მდინარეებზე გადებული ხიდები მიმოსვლას გააადვილებდა და ქარავენები შეუფერხებლივ ივლიდნენ. დიდებულ მეფის ჩამომავლნიც ვაჭრებსა და მოგზაურებს თავის დახმარებას არ აკლებდნენ. რომ ზამთარშიც საძინელო არა ყოვილიყო მიმოსვლა, თამარ მეფემ „ფუნდუკი, ანუ სასტუმრო ააშენა გზის პირას (ვახუშტის გეოგრაფია, მ. ჯანაშვილის გამოც. 51); მაშვრალი ვაჭარი და მოგზაური დამე და თოვლნამქერის დროს თავს შეფარებდა და ტაროსის გამოდარებას მოუცდიდა. ქალაქ ტფილისის მთავარ გამგეს ქართველ მეფეების დროსაც წინანდებულად ამირას ეძახდნენ (ქარ. ცხ. 413), მაგრამ ესლა „ტფილისისა და ქართლის ამირას“ მეფე შინაშენადა ქალაქის მტკვრებთაგან. თამარ მეფის ისტორიკოსი იხსენიებს აბულასანს, იგი იყო „ტფილისის მკვადრთაგანი, თავად და მეფეთ მკვდრისაგან წყალობად კედ დასხმულია მისად ქართლისა და ტფილისისა“ (ib. 313), იგი „თავად“ იყო ქალაქისა, უმთავრესი პირი. სხვა მომტრო ქალაქებში, როგორც, მაგ. მტკეთასა დაატენში, ამირას მაგიერობას ცხისთავი სწევდა, მგონი (იხ. ვესტათი მტკეთელის ცხოვრება, Папъ Грѣзиу და ატენის წარწერა, ჟორდანიას ქრონიკ. I 206). ქალაქის უმთავრესი ზედამხედველობა და უზრუნველყოფა ებარა ერთს ამირას ხელქვეით მოხელეს, რომელსაც „შურტას“ ეძახდნენ ხოლმე (შიომღ. ისტ. საბ. გვ. 11, 12). ეს სიტყვა არაბულია, — „შურტას“. იგი შიდა-ციხის მცველების უკრძალად ითვლებოდა და ქალაქში წესიერებას იცავდა ხოლმე (იხ. A. von Kremer. Culturgeschichte d. Orients, I, 190, 182). გიორგი II-ის სიკვდილად ჩანს, რომ შურტას ქალაქის ბიზნისს და ბაჟის ზედამხედველობა უნდა ჰქონებოდა (შიომღ. ისტ. ს. 11, 12). ქალაქის ამირას გარდა ტფილისში, როგორც ეტყობა, საბჭოს მაგვარი დაწესებულება ყოფილა, რომლის წევრებს მაშინ ქალაქის ბეგრებს ეძახდნენ (ქარ. ცხ. 325). ავით სახელი „ბერი“ გვიჩვენებს, რომ ისინი წლოვანობითა და გამოცდილებით მკვიდრთა მიერ პატივცემულნი იქნებოდნენ ქალაქის ბედობლი მხოლოდ ასეთ შეეჭლოთ გადაეწყვიტათ, მაგალითად, როცა ამირა ჯავარი გარდაიკვალა, ბაგრატ მეფესთან „მოვიდეს ტფილელნი ბერნი. უქაღეს ქაღაჩი და უკეს სასწრაფოდ (ქარ. ცხ. 325). მეფე საქმით გართული იყო და ჯეროვნად ყურად არ ათხოვა. როცა იგი ქართლს ჩამოვიდა, „მოკედეს სხვანი მკობელნი ბერნი ტფილელნი. წარეკრათა ტფილისად და მოკეგეს ქაღაჩს ბერნი, დარბაზის ყმანი, ცხენოსანნი დიღმის ველსა, და ყოველი ერთი ქვეითი დაკაზმული, დედათა და მამათა სიძარაღე იყო მოედანსა... შეიყვანეს, მოაღლეს ქალაქი“ (ქარ. ცხ. 325). ერთი სიტყვით, მემატინეს სიტყვე ბიდან ჩანს, რომ ბაგრატისათვის ტფილისის გადაცემა ქალაქის ბერებს გადაუწყვეტიათ, რომ დენივე თავიანთთაგანი წარმომადგენლად გაუგზავნიათ მეფისათვის და ქალაქის გადაცემას პირდაპირად, — „უქაღდენო“. რაკი „ბერებს“ შეეჭლოთ და პირებოდნენ, ტფილისის გადმოკეცვით, — ეტყობა, მათ უფლება და მონღოლობა ჰქონიათ ქალაქის მკვდრთაგან; ისინი ქალაქის ბედობლის მოურნე მზრუნველნი და გადაწყვეტნი ყოფილან. უეჭველია, ქალაქის ბერები მტკვრებთა მიერ უნდა ყოფილიყვენ ამორჩეულნი, ისინი ქალაქის წარმომადგენე-

ლები იყვენ და ამირას დარბაზის მოხელეებზე ანუ დარბაზის ყმებზე მაღლა იდგენ. როცა, მაგალითად, ბაგრატ მეფე ტფილისს მოუახლოვდა, ყველაზე წინ სწორედ „ქალაქის ბერები“ მიეგებნენ და წარუდგნენ, ხოლო მერე დარბაზის ყმანი, იმათვე შეაბრძანეს მეფე ტფილისში და ქალაქსა გარშემოატარეს. მაშასადამე, ქალაქის ნამდვილი პატრონები „ქალაქის ბერები“ უოფდნ. ამირა „ბატონი“ იყო „ქალაქის ბერები“ კი საქალაქო ეკონომიკური წევრები ყოფილან. რიცხვით რამდენი იყვნენ ისინი, დანამდვილებით არ ვიცით, მაგრამ მათ შეეძლოთ ქართველ მეფისათვის დესპანებად „ბერები“ იმ სსკა და სსკა ყრად გაეგზავნათ, „მოვიდეს სსკანი მკობელნი ბერნი ტფილელნიო“ (ქარ. ცხ. 325), — უეჭველია, ბლომად ყოფილან: ათ კაცზე მაინც მეტი იქნებოდნენ.

ყველა მოქალაქენი ერთს საზოგადოებრივ წრეს შეადგენდნენ; ქირში თუ ღებში ისინი ერთად მოქმედობდნენ. რეუენ ედღინზე რომ გაიმარჯვეს ქართველებმა, მეფისა და ძღვევა მოსილ ჯარის დასახვედრად და პატროსაცემლად „შეეკახმა მოქალაქეთა თბილისიო“, გვიამბობს თ. ნამედროვე ისტორიკოსი (ქარ. ცხ. 470). აქ მოქალაქენი ტფილისის პატრონებად არიან გამოყვანილი და ერთობლივ რთავენ ქალაქს სადღესასწაულოდ, რომ გამარჯვებულ ლაშქრისათვის თავიანთი სიზარული ეჩვენებინათ.

მოქალაქეებს თავიანთი მოსამართლეცა ჰყავდათ; ეს ცხადად ჩანს ბაგრატ მეფის კანონების იმ ნაწილებიდან, რომელიც ათაბაგ ბექა და ალბულას სამართალშია შეტანილი. მეფე ურჩევს, მოსამართლედ „ვიინცა მოძღვარი იყოს, ანუ მეფეთა წინაშე ზრდილი და ნამყოფი კაცი იყოს, ან კარგი დიდ-ეჭვარი, ან კარგი სოფლისა მამასახლისი იყოს, ის დასვი ბქედო (ს რე): „კარგი დიდი ვაჟარი ქვეანი იქნებას და კარგად ეცოდნების ბქობა და უსამართლოს არას იტყვისო“ (ს რა), განმარტავს მეფე. ამ გამოკვლევის პირველ თავში ახსნილია, რომ სოფლის მამასახლისი გლეხების მოსამართლედ ინიშნებოდა. „მეფეთა წინაშე ზრდილი და ნამყოფი კაცი“ აზნაურებისათვის უნდა ყოფილიყო. ვინც იცის, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ძველად საქართველოში წოდებრივ განსხვავებას და პატროს, ის, რასაკვირველია, მიხვდება, რომ „დიდ-ვაჟარი“ შეიძლება მხოლოდ ვაჟრების და საზოგადოდ მოქალაქეების მოსამართლედ ანუ ბქედ ყოფილიყო. ვაჟრის მოსამართლეობას რომელი დიდებული აზნაური ან მოხელე დაემორჩილებოდა? ამის გამო უეჭველია, რომ დიდვაჟარი მოქალაქეთა მოსამართლედ იქნებოდა. ზემოთყვანილ ნაწილებიდან ჩანს, რომ ამ მოსამართლეს მოქალაქენი კი არ ირჩევდნენ, არამედ საქართველოს მეფე ჰნაშნავდა და ბაგრატ მეფის განკარგულების თანახმად მხოლოდ მოქალაქეთა უმაღლეს წრეებიდან ერთერთ დიდ ვაჟართან ირჩევდა ხოლმე. არაბების ისტორიკოსის იბნ-ალ ასარის თხზულებიდან ჩანს, რომ ტფილისში მაჰმადიანთა ბატონობის დროს ქალაქის მოსამართლე უადი ყოფილა (Detremg. Fragm. géorg. et histor. Caucase ibid); თუცა ჩვენ ბატონებში არაფერია ნათქვამი, მაგრამ დავით აღმაშენებლის და მის მემკვიდრე ქართველ მეფეების მოღვაწეობის მიმართულების მიხედვით შეიძლება გადაჭრით ვთქვათ, რომ „ყადის“ თანამდებობას არ გააუქმებდნენ, მაგრამ იგი მხოლოდ მაჰმადიან მოქალაქეთა მოსამართლედ იქნებოდა.

ზემოთხსენებული მოხელეებს გარდა ქალაქში იყვენ ბაგის ამკრეფი და სასწორთან დაყენებული დაბალი მოხელეები. ბაგი გიორგი II მეფის სიგელსა და დავით აღმაშენებლის ანდერძშია მოხსენებული (შოიმლ. ისტ. ს. 11, 17).

რასაკვირველია, ცალკე მოხელე უნდა ყოფილიყო, რომელიც ბაგის აკრებას ადგა. რომ ქალაქში მესასწორე იქნებოდა, ისედაც ცხადია, მაგრამ ამის საკმაო საბუთი არ არის. ბაგრატ IV-ის 1058 წლის სიგელში სხვათა შორის „საკოშრის“ გადასახადიც არის დასახელებული (შოიმლ. ისტ. ს. 4). როგორც საბალახე ბალახზე დადებული გადასახადი იყო, ისე, „საკოშრე“, რასაკვირველია, კოშრის გადასახადი იქნება. ხოლო ეს სიტყვა ქართული არაა და სომხურ *կշრ* — კშირისაგან არის წარმომდგარი. ეს სიტყვა სასწორს ნიშნავს. მაშასადამე საკოშრე უნდა სასწორზე დადებული გადასახადი ყოფილიყო. რაკი სწორედ იმ სიგელში, სადაც პირველად ბაგია მოხსენებული, მოხელეთა შორის შუტაც არის დასახელებული (შოიმლ. ისტ. ს. 11, 12) და რაკი იგი მოედნის ზედამხედველი იყო, შეიძლება მემაჟე და მეკოშრე მისი ხელქვეითი მოსამსახურეები ყოფილიყვენ.

ამგვარად გამოირკვა: ქალაქის ბატონად ამირა ითვლებოდა; მას მისდევდა შურტა — ქალაქის მკველთა უფროსი, წესიერების დამამყარებელი და მოედნების ზედამხედველი; მგონი მასვე ექვემდებარებოდნენ მემაჟე და მესასწორე. ქალაქის პატრონებად და გამგებად მკვიდრთა მიერ ამორჩეული „ბერები“ იყვნენ, ხოლო მსაჯულად — დიდ ვაჟართაგან მეფის დანიშნული „ბქე“ ავ. ვაკასიაშვილი

(შემდეგი იქნება)

**მ. ნორდაუს და სოციალური საკითხი\*)**

კაცობრიობა ორ მოწინააღმდეგე ბანაკად გაყოფილია. შეძლებული უმცირესობა ფუფუნებაში ცხოვრობს, შეძლებას მოკლებული უმცირესობა კი ამ ფუფუნებას შურის თვლით შესტყერის და იბრძვის იმისთვის, რომ თვითონაც მოიპოვოს ქონებრივი უზრუნველყოფა. ეს ბრძოლა სარჩულად უდევს თანამედროვე ცხოვრების განვითარებას და განსაკუთრებით მწვავედება მაშინ როდესაც მდიდრების რიცხვი მრავლდება და ამის გამო ხალხში იზრდება ქონებრივი უთანასწორობა. ასეთი იყო მეცხრამეტე საუკუნე და ახლანდელი დროც დიად და გამწვავებულ ბრძოლის ასპარეზად არის გამხდარი. მდიდრების რიცხვმა იმატა, მათ ხელში აუარებელი, ურიცხვი ქონება არის და ხალხის უმეტესობა არასოდეს არ გრძნობდა თავის ქონებრივ დაბეჩავებას ისე ნათლად და მწარედ, როგორც ამ ეჟამდ. მართალია, ხალხის უმეტესობა შიმშილისგან არ იხოცება, მას აქვს ბინა და ტანისამოსიც, მაგრამ იგი მაინც ღარიბი არის, რადგანაც მისი მცირე ქონება უმცირესობის აუარებელ სიმდიდრესთან არაფრად არა სჩანს. ხალხის უმეტესობა ღარიბია, რადგანაც თავის თავს ღარიბად გრძნობს; სხვისი ფუფუნების დანახვა ახალ მოთხოვნილებებს ჰქმნის; ეს მოთხოვნილებები დაუკმაყოფილებელი რჩება და ხალხი, თავის ახალ სურვილებისა და ჩვეულებების მიხედვით, კულტურულად ცხოვრებას ვეღარ ახერხებს.

მდიდრები უწინაც ყოფილან, მაგრამ მაშინ მათი სიმდიდრე ისე არ სჩანდა, როგორც ჩვენს დროში, როდესაც დემოკრატიულ მიმართულების გაძლიერებამ უფრო მწვავედ აგრძნობინა ხალხს ქონებრივ უთანასწორობის უსამართლობა. თვით ეს უთანასწორობაც ახლა უფრო დიდი შეიქმა, — წინეთ არასოდეს არ ყოფილა იმდენი მდიდარი ადამიანი, რაგორც ჩვენს დროში და არასოდეს ერთ კაცის ხელში არ შეგრო-

\*) მ. ნორდაუს წიგნიდან: კაპიტალისტურ წყობილების სიცრუეებუკდავთ ამ წყრილს მხოლოდ იმიტომ, რომ გავაცნოთ მკითხველს ცნობილ მწერლის ნორდაუს აზრი სოციალურ საკითხის შესახებ. რედ.

ვილა ისეთი სიმდიდრე, როგორც აქვთ ვანდერბილტს, როტშელდს, ჰირშს ან სხვებს. მეორეს მხრივ არასოდეს არ იყო იმდენი უმიწაყლო და ცხოვრების ყოველივე საღსარს, ვარდა პირადი შრომისა, მოკლებული ადამიანი, როგორც მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეში. ჩვენი დროის ღარიბი, — ქალაქის მუშა, — ყოველივე უზრუნველყოფას მოკლებულია; სანამ სამუშაო აქვს, იგიც მადლარია, მაგრამ მექარხნემ რამე მიზეზის გამო თუ შეამკირა თავისი წარმოება ან სულაც დაკეტა ქარხანა, მუშა ქუჩაში რჩება უსაქმოდ და შიმშილითაც რომ მოკვდეს, მას, შეიძლება, გამკითხველი და მანუგებებელიც არ გამოუჩნდეს. ამ მუშებს გვერდში უდგას ინტელიგენცია, რომელიც მათსავით ყოველივე ქონებრივ უზრუნველყოფას მოკლებულია, მათსავით თავის საზრდოს ყოველდღიურ შრომით იძენს და ხშირად იძულებული ხდება პირადი დამკვირება და შეურაცხყოფა აიტანოს იმისთვის, რომ სარჩო არ დაეკარგოს. ეს ინტელიგენტი, განათლებული პროლეტარიატი ქარხნის მუშებზე უფრო მწვევედ გრძობს არსებულ წყობილებს უფარგისობას, მათთან ერთად იბრძვის უკეთეს, უფრო სამართლიან წყობილების დასამყარებლად და ამ ბრძოლაში ხშირად მათზე მეტ ვაბედულობას და თავის განწირვას იჩენს.

საიდან წამოსდგა სიღარიბე და სიმდიდრე? ქონებრივ უთანასწორობის მიზეზი არსებული საზოგადოებრივი წყობილებაა, რომელიც შესაძლოდ ხდის ზოგიერთ უშრომელ ადამიანს სიმდიდრეს და უმეტესობის მუდამ ღარიბად დარჩენას.

სიმდიდრეს ადამიანი ან მემკვიდრეობით იღებს ან საკუთარ მოხერხებით წაგროვებს. ახალ სიმდიდრის შესაგროვებლად სამი საშუალებაა: ვაჭრობა, სპეკულაცია და მრეწველობა. მარაღია, ამის გარეშეც შეიძლება გამდიდრდეს ადამიანი, შეიძლება, მაგ., სადმე მადანი აღმოჩნდეს და მიწის მესაკუთრე თავის თავად, თითის გაუნძრევლადაც მდიდარი შეიქმნეს, მაგრამ ასეთი შემთხვევა იშვიათია და აქ მასზე ლაპარაკიც არა ღირს.

იშვიათია ჩვენს დროში კანონიერ ვაჭრობით შეძენილი სიმდიდრეც. ვაჭრობის მოგება კანონიერია იმდენად, რამდენადაც მწარმოებლისთვის და მომხმარებლისთვის აუცილებელია შუამავალი, მაგრამ იქ, სადაც ვაჭრობა თავისუფალია და მისი დაწყება ყოველ მსურველს შეუძლია, ვაჭრობის მოგება დიდი არ არის და შრომის ფასს თითქმის არ აღემატება. სულ სხვაა იქ, სადაც ვაჭარი მოქიშვეთა ჩამოშორებას ახერხებს და ჰქვინის მონოპოლიას. ასეთ შემთხვევაში მას შეუძლია ხალხს გაყიდულ საქონელში გამოართვას იმდენი, რამდენიც თვითონ სურს და რამდენის გადახდა მყიდველს შეუძლია. ვაჭრობით შეძენილ სიმდიდრეს სათავედ ყოველთვის ასეთი მონოპოლია ჰქონია.

სპეკულაცია — საშინელი რამეა. ზოგიერთები ცდილობენ გაამართლონ სპეკულაციის არსებობა, თითქმის საქიროდაც სთვლიან მას, მაგრამ ის ადამიანი, რომელიც სპეკულაციას ადგია, ნამდვილი მეტ ხორცია, ობობა, რომელიც მწარმოებლის სისხლსა სწოვს და მომხმარებელს საქონელში მომეტებული ფასს ახდევინებს. სპეკულაციის იარაღი — ფასების ხელოვნური აწევ დაწევა არის. სპეკულიანტი, რომელსაც ჯერ არავითარი საქონელი არა აქვს, ჰყიდის მას იაფ ფასებში და პირობას სდებს, რომ ამ საქონელს გადაწყვეტილ ვადაში ჩააბარებს მყიდველს. რაკი მისი ფასები უფრო იაფია, ამიტომ ყველა მყიდველი მისგან ყიდულობს; მწარმოებლები

თავიანთ მომატებულ ფასებში მყიდველებს ვერ შოულობენ და იძულებული ხდებიან ან დროებით შეაჩერონ საქონლის გაყიდვა, რაც თავის თავად მათთვის საზარალოა, ან თვითონაც დაუკლონ ფასებს და ამ დაკლებულ ფასებში საქონელი ისევ იმ სპეკულიანტს მიჰყიდონ, რომელიც ამ ახლად შეძენილ იაფ საქონელს აბარებს თავის მყიდველებს და ამ ყიდვასა და გაყიდვაში ფულს იგებს, რადგანაც მისი პირველი გაყიდულობა უფრო მეტ ფასებში იყო გვიდრე უკანასკნელი. მეორეს მხრივ სპეკულიანტი ხშირად ყველა მწარმოებელისაგან წინდაწინვე ყიდულობს მათს საქონელს და, რაკი შემდეგ ბაზარზე ამნაირად ამ საქონლის ერთად ერთი გამყიდველი ხდება, საქონელს ფასს უმატებს და მდიდრდება. უშრომლად და საზოგადოებისთვის უსარგებლოდ სპეკულიანტი ქონებას იძენს და ამნაირად შეძენილი ქონება ხშირად მილიონებს აღემატება.

სპეკულაცია გამეფებულია ჩვენი ეკონომიურ ცხოვრების ყველა დარგში; იგი აძვირებს პურს, სახლებს, ყოველ საქონელს, ჩვენთვის საქირო ყოველივე საგანს; სპეკულაცია სახელმწიფო გადასახადზე უფრო მძიმე ტვირთად აწევს ყოველ ჩვენგანს.

ბირჟა — სპეკულაციის საბუდარია, იგი — თანამედროვე ავაზაკების სორია, სადაც ისინი კანონიერის გზით ხალხს ჰყვლეფენ და ატყავებენ.

დიდ სიმდიდრის მესამე წყარო — მსხვილი წარმოებაა. აქ სიმდიდრეს ჰქმნის ის ზედ მეტი შრომა, რომელიც წარმოებაში უფასოდ რჩება მწარმოებელს იმის გამო, რომ სამუშაო ქირა მცირეა. ზოგიერთები ამბობენ, წარმოების მოგება თვით მწარმოებლის გონებრივ შრომის ჯილდო არისო, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ მწარმოებელს მეტი გონებრივი შრომა არ სჭირია, ვიდრე მისგან დაყენებულს ქარხნის ან წარმოების გამგეს და ამ უკანასკნელს ჯამაგირი კი ყოველთვის თვით მწარმოებლის მოგებასთან შედრებით მეტად მცირეა. წარმოების მოგება არც წარმოებაში დახარჯულ კაპიტალის სარგებელს უდრის, რადგანაც ხშირია ისეთი წარმოება, რომელსაც 50 და 100% სარგებელი მოაქვს ან კიდევ მეტიც. ამბობენ აგრეთვე, რომ მწარმოებლის მოგების მოსპობით მუშებს სულ თითო ორორი გრ. შ. მოემატებოდა და ამაზე ლაპარაკიც არ ღირსო. მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ ვინმე თავის სასარგებლოდ თითოულს ჩვენგანს თითო გროში ფულის გადახდას მოსთხოვდა, ჩვენთვის ეს გროში არაფერია, მას კი ამით რამოდენიმე ასი ათასი ყოველწლიურად შემოსავალი გაუჩნდებოდა. თქმა არ უნდა, რომ ყოველი ჩვენგანი ასეთ ადვილად ასატან, მაგრამ უსამართლო გადასახადზე უარს იტყოდა ისევე, როგორც მუშები უარს ამბობენ იმაზე, რომ მათ ქირაზე თუნდ თითო გროშის დაკლებით მექარხნემ თავის ჯიბეში აუარებელი სიმდიდრე ჩაიჩხრიალოს.

ამნაირად თავის საკუთარ შრომით დიდი სიმდიდრე არავის არ შეუძენია, სიმდიდრის წყარო ყოველთვის სხვისი ნაშრომის მითვისებაა. მხოლოდ ზოგიერთ, და ისიც მეტად იშვიათ შემთხვევაში შეიძლება ადამიანი ძალიან კამდიდრდეს საკუთარის შრომით (მაგ. მწერალი, რომლის ნაწარმოები მილიონობით საღდება), ან სხვისი ნაშრომის მოუთუვისებლად (ახლად აღმოჩენილ მადნების პატრონი).

მიწის მესაკუთრე თუ მდიდრდება, — იმის გამო, რომ მიწის ფასი თან და თან მატულობს, ამ სიმდიდრის წყაროც სხვისი დაჩაგვრა არის, რადგანაც მიწას ფასი ემატება იმის მიზეზით, რომ მსკობრებთა რიცხვი მატულობს, რომ ხალხს საცავებად

მიწა არ ჰყოფნის, რომ ცხოვრება თან და თან ძვირდება სხვების ქონებრივ მდგომარეობის დაცემა, სხვების უბედურება მიწას ფას უმატებს და მიწის მესაკუთრეს კი ჯიბეს უსქელიებს.

სხვის ნამუშევართ ისქვე ეპს ჯიბეს სხვეულიანტა, სხვის შრომით მდიდრდება მსხვილი მექარხნე, და მშრომელი, ამ სიმდიდრის შემქმნელი ადამიანი კი იძულებულია სღარბებში გაატაროს თავისი ცხოვრება.

ესადა, რომ ასეთ უსამართლო მდგომარეობას მშრომელები იმ თავ თვე არ აიტანდენ, მაგრამ მათ არსებულ წყობილებასთან ბრძოლა ეშინოდთ, რადგანაც ამ წყობილებას და მასთან ერთად მდიდრების შეძლებასაც კანონი იცავდა, — მეორეს ზხრივ მშრომელებს ბრძოლა არ გახსენებიათ, რადგანაც საზოგადოებრივი ეთიკა და თვით სარწმუნოებაც ღარბებს მოწილებას ასწავლიდა და საეკო უბედურებისთვის საიქიოს ბედნიერების მინიჭებას ჰპირდებოდა. არსებულ წყობილების დასახას ათვლად საკმარისი იქნება გაიხსნეთ თუნდ სწავლა-განათლების მდგომარეობა, ამ საქმეზე ვადასახად აღდეინებენ მდიდარს და ღარბსაც, ნამდვლად-კი ღარბებს მხოლოდ წერა-კითხვის სწავლებას თუ აღიარებენ; საშუალო და უმაღლესი სწავლა მხოლოდ იმათ პრივილეგიას შეადგენს, ვისაც შეუძლია 21-22 წლამდის თავი უშრომლად რჩინოს. სწავლა თუ საქირა იგი ყველასთვის თანასწორად საქირა არის და სახელმწიფოში ყველა ნიჭიერ ყმაწვილს უნდა შეეძლოს სწავლის დასრულება, რომ შემდეგ თავისი ცოდნით რამე სარგებლობა მოუტანოს თავის აღმზრდელ საზოგადოებას. სწავლა სავალდებულო უნდა იყოს ყველასთვის. ახლა, როდესაც სახელმწიფო წესწყობილება ხალხისაგან არჩეულ წარმომადგენლების მოქმედებაზე აგებულია, ხალხს უნდა შეეძლოს, შეგნებულად მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში და საამისოდ მისთვის მხოლოდ წერა-კითხვის ცოდნა საკმარისი არ არის, — საქირა ისტორიის ცოდნა, ფინანსების, სოკილურ კითხვებს, თვით ბუნების მეტყველების გაკნობა, საქირა, ამნირად, საშუალო სასწავლებლები, რომლებშიაც სწავლა ყველასთვის ისევე სავალდებულო უნდა იყოს, როგორც ახლა ზოგიერთ სახელმწიფოში სახალხო სასწავლებლებში ბავშვების გზაგა არის სავალდებულო. ჩრდილოეთ-ამერიკაში საშუალო სასწავლებლებს მოწოდებენ სოფლის მეურნეობასაც ადგიან და ამით სასწავლებელს ეძლევა შემოსავალი, რომელაც მის ხარჯებს ისტუმრებს, თუმცა უფრო სამართლიანი იქმნებოდა, რომ ეს ხარჯები მთავრობას ეკისრა. მართალია, ზოგიერთებს ასეთი ზომა კომუნისმის განხორციელებად მოეჩვენება, მაგრამ ამ სიტყვას არ უნდა შევეუშინდეთ, რადგანაც ასეთივე კომუნისში ახლაც იშვიათი არ არის. მართლაც, პატარა ბავშვებს ახლაც მუქთად ძღვევენ სწავლას, — ჯარების არსებობა კორუნისტორ პრინციპზე აგებულია, რადგანაც საზოგადოება თავის ხარჯით არჩენს მთელ თაობას, და, განა, უფრო გონიერი არ იქმნებოდა, რომ საზოგადოებას საშუალო სასწავლებლების მოწოდება რჩენა ეკისრა, ვიდრე ჯარის კაცების შენახვა, მით უფრო, რომ საშუალო სასწავლებლებში ყმაწვილებს სამხედრო ვარჯიშობაც ადვილად შეეძლოთ? ამნირად 20 - 23 წლის ჯანმრთელი ახალგაზრდებია შრომას დაუბრუნდებოდენ და ამით ხალხის კეთილდღეობაც წინ წაიწვიდა. ამათი შრომის ზედ მეტი მოგება სრული საკმარისი იქმნებოდა ზედ-მეტე სასწავლებლების შესანახავად. ფული უსარგებლოდ რომ არ იხარჯებოდეს, ყოველ შემდეგ კლასში მხოლოდ საუკეთესო მოწაფეები უნდა გადაიყვანონ.

ახლანდელ წყობილებაში ხალხის დიდი ნაწილი თუ ნახევრად მშვიდია, ამის მიზეზი, შეიძლება, ორი სხვა და სხვა გარემოება იყოს: ან მიწას ყველას საკვებად საკმარისი ნაყოფი არ მოაქვს, ან მოაქვს, მაგრამ ეს საკვები ხალხს უმეტესობას არ ეტლვა: ეს მეორე მიზეზი მართალი რომ იყოს, მაშინ ყოველ წლიურად მოსავლის ერთი ნაწილი შეუქმელი უნდა რჩებოდეს, ნამდვილად კი ჩვენ ვიცით, რომ არც სოფლის ბედელში და არც ვაჭრებს საწყობებში წინა წლის მოსავალი შემდეგ წლამდის არ გასტანს ხოლმე. შეუძლებელია აგრეთვე ვიფიქროთ, ვითომც მდიდრები სკამდენ ზედ მეტს და ამიტომ ღარბებს საქმელი არ ყოფნიდეს, შეუძლებელია იმიტომ, რომ კოქის გასაძღობად მდიდარს თითქმის იმდენივე პური და ხორცი სჭირია, რამდენიც ღარბს.

მიზეზი ის არის, რომ მიწას საკმარისი ნაყოფი არ მოაქვს. ზოგიერთები ამ ფაქტს აღნიშნავენ, მაგრამ ამასთანავე ამბობენ, მიწას მეტი მოსავლის მოცემა არ შეუძლია და ამიტომ დედამიწაზე მცხოვრებთა რიკხე უნდა შევამციროთ. ეს შეცდომაა. გამოანგარიშებულია, რომ ჩრდილოეთ-ამერიკის შეუძლია მთელი დედა მიწის მცხოვრებნი ჰკვებოს, რადგან იქ სოფლის მეურნეობაში ზოგიერთი გაუმჯობესება შეტანილია და, საზოგადოდ, მიწის შემუშავებაში ისეთივე ტენიური წინსვლელობა რომ ყოფილიყო, როგორც საქარხნო მრეწველობაშია, ეკვი არ უნდა. რომ მოსავალიც რამდენიმეჯერ გაიზრდებოდა და სოფლის ნაწარმოებიც გაიფუფუნებოდა. ახლა ისეთი მდგომარეობა რომ სოფლის მეურნეობას ტენიკა წინ ერთი ნაბიჯის გადადგმასაც ვერ ასწროებს, სანამ საქარხნო მრეწველობის ტენიკა ასი ნაბიჯის გადადგმას ახერხებს, მიწის შემუშავება გაუქმობსებულა რომ იყოს, ერთი ცხვირსახოცის ოდენა ნაჭერი მიწა ეყოფოდა თითო ადამიანის გამოკვებას. ახლა კი აუარებელი მიწები დაუმუშავებელი რჩება და კაცობრიობის ერთი ნაწილი კი შიმშილისაგან იტანჯება! ხალხი თავის შრომას ანდომებს განსაკუთრებით ქარხნებში მუშაობს, ზურგს უბრუნებს სოფლის მეურნეობას და ამით ქარხანაში ნაწარმოების მომხმარებელთა მონად ხდება ევროპელი მუშა იძულებულია დიდიდან საღამომდინ იშრომოს ქარხანაში იმისთ ის, რომ ამ ქარხნის ნაწარმოები სადმე ავრიკაში წაიღონ, იქ ხანგებს მიჰყიდონ და ამით ცხოვრება გაუუმჯობესონ მათ მაშინ, რადესაც ამ საქონლის გამოკეთებელს დიდი რაჟეპა პურიც არა აქვს! შრომა მიწას უნდა მოხმარდეს, — ხალხს პური სჭირია, ჯერ პური უნდა მას და მხოლოდ ამის შემდეგ სხვა და სხვა სასარგებლო რამ! ხალხის შრომა ჯერ იმას უნდა მოხმარდეს, რაც ხალხისათვის უფრო საქირა ან სასარგებლოა!

ახლანდელი საზოგადოებრივი წყობილება მძიმე ტვირთად აწევს ხალხის უმეტესობას. ცხოვრებისგან გარიყულ უშიწაწყლო მუშახალხს და მშრომელ ინტელიგენციას უნდათ, ეს წყობილება სხვა და სხვა თეორიებით შესცვალონ, დაატყიონ ახლანდელ წყობილების უფარგისობა და ნიადაგი მოამზადონ ახალ წყობილების დასამყარებლად, — ავიწყდებათ კი, რომ ახლანდელ საზოგადოებრივ წყობილებას ფიზიკური ძალი ამგარებს და ისევ ძალითვე უნდა მოხდეს მისი დარღვევა, რადგანაც ერთად ერთი საბუთი, რომლის წინააღმდეგ არავითარი კამათი არ შეიძლება, ფიზიკური ძალა ამ საბუთის გამოყენებას ხალხის უმეტესობა ჯერ კიდევ ვერ ბედავს.

ყოველი ცოცხალი აქვს თავის რჩენაზე ფიქრობს; ზოგიერთი პირუტყვი საქმელს აგროვებს და თავს უყრის, რომ საქირა დროს, გარეთ საქმელი თუ ვერ ნახა, ამ შენო-

ნახულით თავი იჩინოს. ადამიანიც ასე მოქმედობს, იმ განსხვავებით კი, რომ საჭიროზე ბევრად მეტს ინახავს, სიმდიდრეს თავს უყარს და ცდილობს ეს სიმდიდრე თავის შვილებს გადასცეს, რომ ამით შრომა თავიდან ააცილოს და უშრომელი ცხოვრება არაგუნოს. ასეთი მისწრაფება ბუნების წინააღმდეგია, რადგანაც ბუნებაში ყველაფერი თავის შრომით თავს იჩინებს. შვილებს პირუტყვები და ფრინველები მხოლოდ იმდენ ხანს უფლოან და ჰკვებავენ, სანამ მათ თვითონ, საკუთარის შრომით თავის რჩენა არ შეუძლიან, მხოლოდ ადამიანი ცდილობს თავის შვილებს შრომა სამუდამოდ ააშოროს. გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ ამ უსამართლობას სასურველი ნაყოფი მინც არ მოაქვს და შემკვიდრეები თავიანთ ქონებას მალე ხარჯავენ, რადგანაც შრომას შეუჩვეველნი, ქონების მოვლასაც ვერ ახერხებენ.

მემკვიდრეობა უსამართლობაა და უნდა მოიხსოს. ეს ზომა, შეიძლება, ზოგიერთს უკეთესად ზომად იჩვენოს, მაგრამ ინგლისში, სადაც ხალხი სრულბოთ არ ადგია უკიდურეს თეორიებს, დიდუცობაში მთელი მემკვიდრეობა მხოლოდ უფროს შვილზე გადადის და დანარჩენი შვილები მემკვიდრეობას სრულბოთ არ ღებულობენ. თუ უმცროსების უმემკვიდრეობად დატოვება ქვეყანას არ ღუპავს და ძირს არ უთხრის ხალხის არსებობას, რატომ უნდა ვიფიქროთ, რომ უფროს შვილის ამავე მდგომარეობაში ჩაყენება ქვეყნიერებას დააქცევს?

მართალია მემკვიდრეობით სიკვდილის შემდეგ რისიმე გადაცემა სხვებზე აკრძალული თუ იქნა, ზოგიერთები ეცდებიან თავიანთი ქონება შვილებს სიცოცხლეშივე გადასცენ, მაგრამ კანონის ასეთი მოვლა შეძლება აღმოჩენილ იქნეს, თუ მეტი კონტროლი გასწია თვით საზოგადოებამ, და მეორეს მხრივ შეიძლება მესაკუთრეებს სულ ჩამოერთვას ის, რაც ახლა თითქმის ყოველთვის მემკვიდრეობის უმთავრეს ნაწილს წარმოადგენს, — ჩამოერთვას ყველას მიწა და საზოგადოების სამუდამო კუთვნილებად გამოცხადდეს.

როდესაც მიწა საერთო იქნება, ყოველ მსურველს შეეძლება მიწა სახელმწიფოსაგან აიღოს დასამუშაებლად და ამით თავი იჩინოს. მის სიკვდილის შემდეგ კი ეს მიწა და ყველაფერი, რაც ზიდ აგებული იქნება — ისევე საზოგადოებას უბრუნდება ახალ მსურველზე გადასაცემად. როდესაც ყველას შეეძლება თვითონ თავის მიწაზე იშრომოს, სხვებთან მუშად წასვლას თითქმის არავინ არ მოისურვებს და ამნაირად თავისთავად მოიხსობა მსხვილი მიწის საკუთრება, რომელიც ახლა ხალხს მისაკუთრება მონად ხდის. როდესაც მიწა ყველას ექნება, ქარხნის მუშათა რიცხვიც იკლებს, რადგანაც სოფლად მუშაობა ადამიანს მეტ უზარუნველყოფას მისცემს და უფრო სასიამოვნოც იქნება.

ასეთი წესი კომუნისმს წააგავს, — იტყვიან. მართალია, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ამ უამად ქონების კომუნისმი თუ არა გვაქვს, ვალეების კომუნისმი სახელმწიფოში უყვედით ხნის შემოსულია. ყოველ რვენგანი დაბადებიივე სახელმწიფო ვალის მონაწილედ ხდება, თუმცა თვითონ, შეიძლება, ერთი გროშიც არ უსესხა. სახელმწიფოს საერთოდ ეკუთვნის აგრეთვე აუარებელი ქონება, უძავი და მოძრავიც, როგორც, მაგ. გემები.

მიწის საკუთრების და მემკვიდრეობის მოსპობა ორი ისეთი ზომაა, რომელც ძირაზად შესცვლის აღიანდელ საზოგადოებრივ წყობილებას და ერთის მხრივ აუარებელ სიმდიდრის შექმნას თუ შეუძლებლად გახდის, მეორეს მხრივ თავის

თავად მოპობს ხალხს სუბტესობის ეკონომიურ დაბეჭავებას და მონობას. ეს ზომა ადამიანის შრომას არ შეამკირებს, რადგანაც სიკვდილამდის ყველას შეეძლება თავის ნებაზე მოიხმაროს თავისი შრომის ნაყოფი, თავა მოუყაროს ქონებას ან ხარჯოს იგი, მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ ყველაფერი, რაც დარჩება და საფლავში თან არ ჩაყვება, სახელმწიფოს საკუთრებად ჩაირიცხება.

კაცობრიობას ბევრი არევე-დარევა მოეღის. სანამ ხალხი უგუნური იყო, შეძლებოდა მისი გაჩერება საიქო ბედნიერების დაპირებით, ახლა ვანათლება ვრცელდება. — ამის გამო მცირდება იზათი რიცხვი, ვინც თავს სიღარიბეს ივიწყებს და არაფრად აგდებს, რადგანაც მღვდელი საპატიერა ჯილდოს საიქო ცხოვრებაში პირდება. დარბებო ველებს ახელენ და ხელავენ, რომ დედა-მიწაზე დარბები მდარებზე ვაცილებით მეტია. ხალხი უკვირდება სიმდიდრის წყაროს და რწმუნდება, რომ სპეკულაცია, ვაყვლეფა და მემკვიდრეობა არავრით არ განესხვავება ქურდობას და ავახაკობას. რომ სიღარიბე იზრდება მიწა კი ზოგიერთების ხელში რჩება და ხალხის კვებას არ ემსახურება. დამწეული ხალხი დინახავს, ვის ხელშია შიშხილის მომსპობი წამალი, შეიგნებს ამით თავის სიღარიბის მიზეზს და ამ შეგნებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას მისცემს შიშხილის გრძობა. შიშხილი ისეთი ძალაა, რომელთანაც არ შეიძლება ბრძოლა არც მექარით, არც ლოლიკურ საბუთებით ან მოფერებით. ეს ძალა მოსპობს ახლანდელ წყობილებას, რომელსაც ფილოსოფოსები და მწერლები თავის დინჯ და თეორიულ მსჯელობით ჯერ ჯერობით ვერაფერს აკლებენ.

ს ვ თ მ მ ი ა \*

(6. ი. ლაზარევისისა.)

III

ავტონომიის მოწინააღმდეგენი ხშირად ამბობენ, რომ ავტონომიის შემოღება ხალხს სახელმწიფოსაგან სრულ ჩამოშორების სურვილს უღვიძებსო. მართალია, წარსულ ისტორიაში ყოფილა ისეთი მაგალითები, რომ ავტონომიის მიღების შემდეგ სახელმწიფოს როვლიმე ნაწილს სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობა მიუღია. ასე მაგდა, მაგ., აღმოსავლეთ რუმინიაში, რომელიც სანსტეფანის ხელშეკრულობით შეუერთდა ბოლგარიას, ბერლინის ტრაქტატის ძალით კი ისევ ჩამოშორდა მას და ოსმალეთს დაუბრუნდა. ოსმალეთთან მას არავითარი შინაგანი კავშირი არ ჰქონდა, ხალხი ისევ ბოლგარიისაკენ მიისწრაფებოდა და ავტონომიური წყობილება, ე. ი. შინაურ საქმეებში მოქმედების თავისუფლება, ხელს უწყობდა იმას, რომ ეს პროვინცია საბოლოოდ ჩამოსწყდა ოსმალეთს და ბოლგარიას შეუკავშირდა.

ამ შეთხვევაში ხალხს გადაწყვეტილი ჰქონდა ერთ სახელმწიფოსგან ჩამოშორება და მეორესთან მთლიან სახელმწიფოს შედგენა. საზოგადოდ კი, როდესაც ამბობენ, ავტონომია სახელმწიფოს მთლიანობისთვის საშიში არისო, მხედველობაში აქვთ ისეთი შეთხვევა. როდესაც ავტონომიური პროვინცია სხვებს არ უკავშირდება და ცალკე სახელმწიფოს დაარსებას აპირებს, ჩვენ არ შეგვიძლია დაპარაკი იმაზე, თუ რა იქნება მაშინ, როდესაც შეიცვლება ახლანდელ სახელმწიფო და საერთაშორისო ცხოვრების მიმართულება. ახლანდელ პირობებში კი რომელიმე ავტონომიურ პროვინციის ჩამოშორება და მისგან ცალკე სახელმწიფოს დაარსება ყოველ

\* იხ. ივერია № 25.

ლად წარმოუდგენელი რამეა და ასეთი სურვილი ზოგიერთებში მხოლოდ ნაციონალისტურ ფსიხოზით თუ აიხსნება.

წარმოვიდგინოთ, მაგ., რომ პოლონეთმა ავტონომია მიიღო და მოსურვა მისი გაფართოება. რუსეთისგან ჩამოშორება და ცალკე დამოუკიდებელ პოლონურ სახელმწიფოს გამოცხადება. თქმა არ უნდა მას, რომ ავტონომიურ პოლონეთში ხალხს ამის მოხერხება უფრო გაუადვილებდა, ვიდრე ცენტრალისტურ სახელმწიფოში, მაგრამ ცხადია, რომ მთელ რუსეთთან ბრძოლა ამ ავტონომიურ პოლონეთისთვის ძნელი და თითქმის შეუძლებელი იქნება. წარმოვიდგინოთ, რომ ხალხს იმედი აქვს და ჰგონია აჯანყებაში გავიმაჯგებო, მაგრამ, განა, მხოლოდ აჯანყებაში საქმე? საქმარისი არ არის დამოუკიდებლობის ჰოპოვება, დამოუკიდებლობა კანონიერად უნდა სცნონ სხვა სახელმწიფოებში. ეს კი ადვილი არ არის: გაიხსენოთ თუნდ ბელგიის მაგალითი, რომელსაც ნიდერლანდებიდან ჩამოშორების შემდეგ მტად გაუძნელდა იმის მოხერხება, რომ ეს დამოუკიდებლობა ეცნათ ევროპის სახელმწიფოებს.

მაგრამ სხვა სახელმწიფოებისგან ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოს კანონიერად ცნობაც საქმარისი არ არის. საჭიროა თავის დამოუკიდებლობის დაცვა, პოლონეთს, მაგ. მოუხდება სამ საზღვარზე ციხეების აგება. ავსტრიისკენ, რუმინისკენ და განსაკუთრებით რუსეთისაკენ, რომელიც, ალბად, არ შეურიგდება ასე ადვილად პოლონეთის დაკარგვას. პატარა პროვინციისთვის ასეთ ხარჯების ატანა შეუძლებელია, ამას უნდა მივუხატოთ კიდევ საკუთარ უმაღლეს მთავრობის და საერთაშორისო წარმომადგენლობის ხარჯები.

მაგრამ ესეც არ კმარა. რას იზამს ახალი სახელმწიფო, რომელსაც ყველა მესობელი ერთ თავის საბაჟოებით გარს შემოერტყმევა? ყოველ პროვინციას, რომელიც თავის თავს იმდენად კულტურულად სთვლის, რომ ცალკე სახელმწიფოს დაარსებასაც ფიქრობს, მესობელ სახელმწიფოებში თავის ნაწარმოებისთვის ბაზრის შოვნა უთუოდ სჭირია.

ამიტომ თანამედროვე პირობებში ხალხს სეპარტიზმის სურვილი ვერ დავბადებთ.

ასეთი სურვილი შესაძლოა მხოლოდ ერთ შემთხვევაში, — ადგილობრივი ხალხი გაბატონებულ ეროვნებისგან თუ იმდენად დაზარალებულია, რომ სასოწარკვეთილქმას ეძლევა, მომავალზე აღარ ფიქრობს და მხოლოდ ერთი აზრით არის გატაცებული, — როგორმე ჩამოიშოროს საშინელი უღელი, რომელიც ცხოვრებას უშუარებს.

მაგრამ ასეთი მიმართულება შეიძლება გამოწვეულ იქმნეს ისეთ ეროვნულ დაზარალებით, რომელიც მხოლოდ ცენტრალისტურ სახელმწიფოშია შესაძლო და ავტონომიის შემოღების შემდეგ კი საფიქრებელიც არ არის.

ამაჩიად ისევ იმ დასკვნას ვუბრუნდებით, რომ სახელმწიფოს მთლიანობისთვის უფრო საშიშია ცენტრალისტური პოლიტიკა, ვიდრე ავტონომია.

IV

ზოგიერთები იკითხავენ, — ეგება განაპირა ადგილებს ავტონომიაზე ლაპარაკი ჯერ-ჯერობით უდროვო იყოსო? ამდენი ხანია უავტონომიოთ ვცხოვრობდით და ახლა იგი რა საჭირო არისო? ეგება სჯობდეს ავტონომიაზე ლაპარაკის გადადება იმ დრომდის, როდესაც რუსეთის ძირითადი ცვლილება უკვე დასრულებული იქნება?

ამაზე მხოლოდ ერთი პასუხი ითქმის: ავტონომიაზე უარის თქმა ძალადობა და უსამართლობაა, რომელსაც ოც ივე მხარეს.

თვის არა სასურველი შედეგი მოჰყვება. რაც უფრო ადრე მოიხსობა ახლანდელი მდგომარეობა, მით უკეთესია.

ავტონომიის შემოღების საქმეში დაყოვნება იქ, სადაც ხალხს ავტონომიის საჭიროება უკვე შეგნებული აქვს, სასურველი არ არის იმიტომაც, რომ დაუკმაყოფილებელი სურვილები თან და თან მეტ გამწვავებას ჰქმნიან და ის ავტონომიური უფლებები, რომელიც დღეს ხალხს დააკმაყოფილებდნ, ერთი წლის შემდეგ ამავე ხალხისთვის, შეიძლება, საკმარისი აღარ გამოდგეს.

ამიტომ სწორეთ ისინი, ვინც რამე მიზეზით არ თანაუგრძნობენ განაპირა ქვეყნების ავტონომიას, უნდა ეცადონ, რომ ყველგან დროით და რაც შეიძლება მალე შემოვიდეს ავტონომია.

მაგრამ არის ერთი მიზეზი, რომელიც გვაიძულებს მოვიტხოვოთ ავტონომია ახლავ და არ გადავდოთ იგი შემდეგისთვის, როდესაც სახელმწიფო წეს-წყობილების რეფორმა უკვე დასრულებული იქნება.

ბიუროკრატიულ თვითმპყრობელობის დროს ავტონომიისადმი მისწრაფების ჩაქრობა სხვა და სხვა საშუალებით კიდევ შესაძლო იყო, რადგანაც მაშინ მთავრობა საზოგადოების ყოველ სხვა მისწრაფებასაც აქრობდა. ამნაირ წყობილებაში მთავრობას ტერრორისთვის საჭირო იარაღიც ხელთ ჰქონდა (გადასახლება, ადმინისტრაციული წესით დატუსალება, გაზეთების თუ კრებების აკრძალვა და სხვ.) და თვით ავტონომიურ მისწრაფების დაუკმაყოფილებლობა ხალხისთვის შეუმჩნეველად რჩებოდა მაშინ, როდესაც ასეთივე ბედი ეწეოდა საზოგადოების ყველა ძირითად მოახოვნილებას (მაგ., პიროვნების ხელუხლებლობის უფლებას).

მდგომარეობა იცვლება, როდესაც ხელხი ძირს უხარის თვითმპყრობელობას, სპობს სხვა და სხვა არსებულ უსამართლობას და სამოქალაქო თავისუფლებას ამყარებს.

ასეთ დროს ყველა უწინდელ უსამართლობის მოსპობასთან ერთად ძველ ცენტრალისტური უცვლელად დატოვება და ავტონომიურ წყობილების შემოღებაზე უარის გამოცხადება ხალხს უფრო ააღელვებს და ცწყინება.

მაგრამ საქმე მხოლოდ წყენაში არ არის. სამოქალაქო თავისუფლების დამყარებას, სათათბიროში ხალხის წარმომადგენელთა მოწვევას და განსაკუთრებულ ადმინისტრაციულ ზომების მოსპობას უნდა მოჰყვეს, ერთის მხრივ, ავტონომისტურ იდეის პროპაგანდაში მეტი თავისუფლება და გაძლიერება, და, მეორეს მხრივ, ავტონომიის საწინააღმდეგო რეპრესიების შეკცირება.

ამიტომ საკონსტიტუციო, უფლებლივ წყობილების დამყარებ ს შემდეგ ავტონომიური მისწრაფება ხალხში აუცილებლად იმატებს და გაძლიერდება.

ეს მისწრაფება ახლავ თუ არ დაკმაყოფილდა, — აუცილებელი გახდება საშინელი განხეთქილება და შეტაკება, რომელიც მთელ სახელმწიფოსთვის მეტად საშიშია.

ამიტომ საჭიროა ადგილობრივ ავტონომიების მოწყობა ახლავ, რუსეთში საკონსტიტუციო წყობილებას შემოღებასთან ერთად.

რედაქტორი ფ. გოგინაიშვილი  
გამომცემელი თ. დი პავლე ი. თუმანიშვილი.



ก 383

---

1906